საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 5 თებერვალი. 2020 წ. №21 (8947) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გონებაჩლუნგთა კრიმინალური თავაშვებულობა – აი, კაცობრიობის მომავალი!

9



POLAD – GÜRCÜSTANIN DOSTU

ფოლადი – საქართველოს მეგობარი

საქართველოს ულალატო მეგობარი

ფოლად ბულ-ბულ ოღლი – 75

მამაზეციერის „დამწვარი კარადა“

9

„მომღერალი ელჩი“

იხ. 5 გვ.

ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, მიხეილ ვეზირიშვილი – ცნობილი პუბლიცისტი, ნ. ბარათაშვილის შემოქმედების პირველი მკვლევარი, სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი

კათოლიკოს-პატრიარქი აშშ-ის ახალ ელჩს კელი დეგნანს შეხვდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად, საქართველოში აშშ-ის ახლად დანიშნული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კელი დეგნანი და მისი თანმხლები პირები მიიღო.

საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო აშშ-სა და საქართველოს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებს.

შეხვედრაზე პატრიარქმა ხაზი გაუსვა ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნების აუცილებლობას და აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გაწეული თანადგომისთვის მადლიერება გამოხატა. **„პრობლემები ბევრია, მაგრამ იმედი უფრო მეტია“,** – განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. აშშ-ის ელჩმა პატრიარქს გულთბილი მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ აშშ კვლავაც აქტიურად გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას.

„ხომ არ გამოვიდეთ ევროსაბჭოდან“?!

4

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

ტრაგედია ბაღდათში

3 თებერვალს, ღამით, ბაღდათში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. წერეთლის ქუჩაზე, მიტოვებულ შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა: ორსული ქალი ოთხ მცირეწლოვან შვილთან ერთად და ოჯახის ახლობელი ქალი. ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, საკვებს უფასო სასადილოდან იღებდნენ, ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი არ მიეწოდებოდათ.

ხანძარი, სავარაუდოდ, ბუხარში დანთებულმა ცეცხლმა გამოიწვია. უმალ მოედო ხის სახლს, ოჯახი ამ მიტოვებულ შენობაში მას შემდეგ შესახლდა, რაც მისი ერთ-ერთი წევრი, ბავშვების ბიძა, ქუჩაში გაყინული იპოვეს... ხანძარს შემთხვევით გადაურჩნენ ბავშვების მამა და ბებია, რომლებიც სხვაგან იყვნენ წასულები.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს სრულიად საქართველოს და დაღუპულთა ახლობლებს ამ დიდი ტრაგედიის გამო.

ოჰ, ეს საცოდავი ოპოზიცია

3

ამერიკული წერილების სერიალები და ჩვენ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 20 წელიწადში სიმსივნური დაავადებების რიცხვი 60 პროცენტით გაიზრდებაო!

2

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 20 წელიწადში სიმსივნური დაავადებების რიცხვი 60 პროცენტით გაიზრდებაო!

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია საერთაშორისო საზოგადოებას აფრთხილებს, რომ ამჟამინდელი ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, უახლოესი 20 წლის განმავლობაში მსოფლიოში სიმსივნური დაავადებების რიცხვი 60 პროცენტით გაიზრდება. ამის შესახებ ნათქვამია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სიმსივნური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში.

ორგანიზაციის მონაცემებით, 2018 წელს სიმსივნური დაავადებების გამო მსოფლიოში 9,6 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აუცილებლად მიიჩნევს საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის მომსახურების გაფართოებას. არსებული პროგნოზით, ასეთ ქვეყნებში უახლოესი ორი ათწლეულის განმავლობაში ონკოლოგიური დაავადებების რაოდენობის 81%-ით ზრდის რისკი არსებობს. ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ ეს განპირობებულია იმით, რომ ამ ქვეყნების ისედაც შეზღუდული რესურსი დიდწილად მიმართულია ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაზე, ასევე ბავშვებისა და ორსულების ჯანდაცვაზე. ამავე დროს, დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე სახელმწიფოებში ჯანდაცვის სისტემა მოკლებულია სიმსივნური დაავადებების დიაგნოსტიკისთვის, პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის საჭირო აღჭურვილობას.

„ეს არის შემაფხიზლებელი მოწოდება, რომ ყველა ჩვენგანი ებრძოლოს ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის მხრივ მიუღებელ უთანასწორობას ღარიბ და მდიდარ ქვეყნებში. თუ ადამიანებს ექნებათ წვდომა პირველად სამედიცინო მომსახურებაზე, შესაძლებელი იქნება სიმსივნის ადრეულ სტადიაზე გამოვლენა და ეფექტიანი მკურნალობა. სიმსივნე არ უნდა იყოს ვინმესთვის სასიკვდილო განაჩენი“, — განაცხადა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ექიმმა რენ მინგუიმ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და სიმსივნის კვლევის საერთაშორისო სააგენტოს ერთობლივი ანგარიშის თანახმად, ძალისხმევის კოორდინირებით შესაძლებელი იქნება მომავალი ოცი წლის განმავლობაში 7 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა. ამისთვის საჭიროა თითოეული ქვეყნისთვის შესაბამისი ზომების განსაზღვრა და დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობა.

ირაკლი შოთაძე: ცრუ ბრალდებები არის მოტივატორი, რომ საქმე უფრო კარგად ვაკეთო

საპროკურორო საბჭო გუშინ საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატ ირაკლი შოთაძეს უსმენდა.

შოთაძემ საბჭოსთან გასაუბრების დროს პროკურატურის მიმართ გამოთქმულ კრიტიკასთან დაკავშირებით გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ზოგჯერ კრიტიკა ჯანსაღია, თუმცა ხშირ შემთხვევაში — სრულიად უსაფუძვლო.

„ზოგადად, ჩემთვის ძალიან კარგად გასაგებია ის ხშირი კრიტიკა, რომელიც ისმის ხოლმე პროკურატურის ან მისი ხელმძღვანელის მიმართ. შეიძლება ითქვას კიდეც, რომ მიმდინარე კრიტიკა ლოგიკურია არსებული გამოწვევების, მძიმე მემკვიდრეობის, ახალგაზრდა დემოკრატიის, საზოგადოებაში არსებული სამართლებრივი ცნობიერების დონის გათვალისწინებით. არის შემთხვევები, როდესაც კრიტიკა ჯანსაღია, გასათვალისწინებელია და შესაბამისად მისასალმებელია, თუმცა ხშირად ვხედავთ სრულიად უსაფუძვლო კრიტიკას, ბრალდებებს, რომლებსაც საფუძვლად არაფერი უდევს, გარდა პოლიტიკური მიზანშეწონილობისა, რომ გააკრიტიკო, როგორც იტყვიან ისროლო ტალახი და შემდეგ, ვისაც როგორც უნდა, ისე უმართლებია თავი“, — განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

საპარლამენტო ოპოზიციავ, დაუბრუნდი საკანონმდებლო საქმიანობას!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი კობახიძე საპარლამენტო ოპოზიციას ურჩევს, საკანონმდებლო საქმიანობას დაუბრუნდნენ.

როგორც კობახიძემ გუშინ განაცხადა, პოლიტიკური ბოიკოტის გამოცხადება ოპოზიციის უფლებაა, თუმცა ეს მათ საარჩევნო დღის წესრიგს არ წაადგება.

„სჯობს, კონცენტრირებული იყვნენ არჩევნებსა და იმ საქმიანობაზე, რომელიც პარლამენტში ხორციელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ უფრო დააკლდებათ ხმები, რომელსაც ისედაც მწირად მიიღებენ. აქედან გამომდინარე, მათთვის უკეთესია, სხვა დღის წესრიგით იმუშაონ, თუმცა ეს მათი არჩევანია და გადაწყვეტილებას თავად მიიღებენ. ვიმუშავებთ საკითხებზე, რომელიც საზოგადოებისთვის საინტერესოა. ოპოზიცია დაკავებულია მხოლოდ იმ საკითხებით, რომელიც მხოლოდ მათი პარტიებისთვის არის საინტერესო“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის საგაზაფხულო სესია გუშინ გაიხსნა. საპარლამენტო ოპოზიცია კი, ისევ პოლიტიკურ ბოიკოტს აცხადებს და პლენარულ სხდომებს არ ესწრება.

მყიდველი კი არ ჩანს...

ცნობილი შუშის კონსტრუქცია რიყის პარკში, რომელსაც „რიყის დოქებს“ უწოდებენ, წლებია, არცრა დანაშაული არა აქვთ. დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გასული წლის დეკემბერში განაცხადა, რომ ამ ობიექტის სიმბოლურ ფასად, 1 ლარად მიღებაზე ინვესტორები უარს აცხადებდნენ. თუმცა, რამდენიმე დღის წინათ ეკონომიკის მინისტრის ნათია თურნავას განცხადებით „რიყის დოქები“ აუქციონზე გაიყიდება და მისი საწყისი ფასი 95 მილიონ დოლარს შეადგენს.

ე.წ. რიყის დოქები - ნაგებობა, რომელსაც მერი ბიზნესს 1 ლარად სთავაზობდა, ეკონომიკის სამინისტრო 95 მილიონად ჰყიდის

რა პოტენციალი აქვს 15 ათას კვადრატულ მეტრზე განთავსებულ ნაგებობას ბიზნესის კუთხით და არის თუ არა ამ ფასად ბიზნესჯგუფების დაინტერესების შანსი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ფინანსისტი გიგა ბედინეიშვილი მიიჩნევს, რომ აუქციონის გამჭვირვალედ ჩატარებისა და ინვესტორებს შორის ჯანსაღი მეტოქეობის შემთხვევაში „რიყის დოქები“ მიმზიდველ ობიექტად შეიძლება გადაიქცეს.

„სახელმწიფო ქონების აუქციონისთვის გადაცემა სწორია, მაგრამ თუ 1 ლარადაც არ გამოუჩნდა მყიდველი „რიყის დოქებს“, მაშინ 95 მილიონად მით უმეტეს შეიძლება მყიდველი არავინ გამოჩნდეს. შესაბამისად, მერე ალბათ დაეცემა ფასი ან განახევრდება. თუ გამჭვირვალე აუქციონი ჩატარდება და საკმარისი დრო აქვთ შესაძლებელ მყიდველებს, რომ ფული იშოვონ და თუ ამის უკან რამე განზრახვა არ არის, მთავრობას არ აქვს მოაზრებული მხარე, რომელმაც უნდა იყიდოს ეს ობიექტი, მაშინ მისასალმებელი ამბავია.

არ ვიცი, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ამ ობიექტს, მაგრამ არქიტექტურული თვალსაზრისით, თბილისის ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილი შეიძლება იყოს, ეს მიმზიდველობა როგორ აისახება მომგებიანობაში, ინვესტორზეა დამოკიდებული. 95 მილიონი ლარი რამდენად სწორი ფასია, ძნელი სათქმელია, თუმცა, მნიშვნელოვანია, იყოს გამჭვირვალე აუქციონი.

მე მგონია, რომ ზოგადად, გამჭვირვალობის დონე ქვეყანაში გაუარესებულია — რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა სწრაფად მოხდა ობიექტის გაყიდვა, ან ახალი წლის ღამეს მოხდა, შეიძლება რაღაც წინაპირობები ჩადონ და მოარგონ მათთვის სასურველ ინვესტორს — ეს არის ის ეშმაკობები, რასაც მთავრობა მიმართავს ხშირად“, — ამბობს გიგა ბედინეიშვილი.

დეკემბერში დედაქალაქის მერმა აღნიშნა, რომ რამდენჯერმე შეხვდა ბიზნესმენებს და აღნიშნული ფართის 1 ლარად გადაცემა შესთავაზა იმ პირობით, რომ პროექტი დაესრულებინათ და მოეწესრიგებინათ, თუმცა, ყურადღება არავის გამოუჩენია. კალაძის თქმით, სამუშაოების დასრულებას, დაახლოებით, 18-20 მილიონი სჭირდება, რადგან შიგნით არის დაუმთავრებელი 4-სართულიანი შენობა. შესაბამისად, ასეთი პროექტების განხორციელება ბიზნესისთვის რთულია. ეკონომიკის სამინისტრომ საპრივატიზებო ნუსხაში ე.წ. რიყის დოქები პროექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში შეიტანა. „რიყის დოქების“ ამჟამინდელი მფლობელი ეკონომიკის სამინისტროა. ნაგებობა, რომლის მშენებლობაც 2012 წელს დასრულდა, ამ დრომდე არავითარი დანიშნულება არა აქვს. მასზე 75 მილიონი ლარი დაიხარჯა.

მარიამ მორგოშია



პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეები დროებით დაიკეტა

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეები ვიზიტორებს დროებით ვერ მიიღებს. როგორც სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ამის მიზეზი უხვი ნალექია.

„პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეები, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, დროებით დაკეტილია. თოვლის დნობის პერიოდში მღვიმეებში წყლის დონის მატება ბუნებრივი მოვლენაა და მას სეზონურად, პერიოდულად აქვს ადგილი. წყლის დონის დარეგულირების შესახებ ინფორმაციას მოგაწვდით დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ გვერდის: www.apa.gov.ge და სააგენტოს ოფიციალური ფეისბუქგვერდის საშუალებით“, — ნათქვამია დაცული ტერიტორიების სააგენტოს განცხადებაში.

აბასთუმანში წყალარინების ინფრასტრუქტურის მშენებლობა იწყება

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია კურორტ აბასთუმანში წყალარინების (კანალიზაციის) სისტემების მშენებლობას იწყებს.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ინფორმაციით, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს 4 მილიონ ლარამდე მოხმარდება. შესაბამის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა გრიგოლ მანდარიამ და ტენდერში გამარჯვებული კონტრაქტორი კომპანია „ფერის“ დირექტორმა იოსებ მჭედლიშვილმა.

ოჰ, ეს საცოდავი ოპოზიცია

ამერიკული წერილების სერიალები და ჩვენ

ერთობ საინტერესო და საგულისყუროა, როცა ამერიკელი კონგრესმენები თავიანთ ცნობილ წერილებში ქართულ დემოკრატიას აკრიტიკებენ და სანქციებით იმუქრებიან, იქნებ გვეკითხა იმათთვის, თუ როგორ წარმოუდგენიათ კავკასიის ერთ ღარიბ რეგიონში, ისტორიის მოკლე პერიოდში, ევროპიული ან ამერიკული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, მაშინ როცა დემოკრატია მარტოოდენ ქვეყნის კარგ პოლიტიკურ წყობას კი არ ნიშნავს, არამედ ხალხის ცხოვრების მაღალ დონესაც გულისხმობს. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ღარიბ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, რომელიც თავისი ხანგრძლივი კომუნისტური, სოციალისტური წყობის შემდეგ ახლა ცდილობს, გადავიდეს ახალ დემოკრატიულ რელსებზე.

ამერიკელი კონგრესმენების წერილები, რომელთა ადრესატია საქართველოს მთავრობა, რიგ კრიტიკულ შენიშვნებს შეიცავენ, რომლებიც ძირითადად შეეხება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად ქართული ოპოზიციის „შემოქმედების“ ნაყოფია. ყოველივე ეს წინა საარჩევნო მიზნებს ემსახურება. ამაზე მიუთითებს ის არარსებული „პრობლემების“ ჩამონათვალი, რომლებიც ოპოზიციის მიერ მუდმივი ოინების საგანია და, ძირითადად, პოლიტიკური ქულების დაწერას ემსახურება: „პოლიტპატიმრების“ საკითხი, „მშვიდობიანი“ დემონსტრაციების დარბევა, ანაკლიის პორტის მშენებლობის შეგნებული ჩაგდება, ამერიკულ ინვესტიციებზე გამიზნულად უარის თქმა, ქვეყნის რუსეთზე ორიენტირება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და ამ საკითხებზე, როგორც ქართველი საზოგადოება, ისე უცხოელი კოლეგები, სრულად გაცნობიერებულნი არიან, ყველა პრობლემაზე მთავრობის ადეკვატური, გამჭვირვალე პასუხი არსებობს და ყველასთვის ეს ინფორმაცია ხელმისაწდომია. ამის მიუხედავად, ოპოზიცია მუდმივად აპელირებს ამ, ვითომ მოუგვარებელი პრობლემებით. თურმე, ხალხს ყველაზე მეტად ეს აწუხებს და ქართული ოპოზიციისთვისაც მიუღებელია. ყალბი ოპოზიცია სისტემატურად აწვდის ამ ცრუ ინფორმაციას სხვადასხვა ინსტაციებს საზღვარგარეთ და ხშირად შეცდომაში შეჰყავს ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი მეგობრები და პარტნიორები. ამის გამოძახილია, ალბათ, ეს წერილებიც, რომლებიც, თავის მხრივ, ოპოზიციას არავითარ პატივს არ მატებს, პირიქით, იმათ სისუსტეს, უუნარობას, ხშირად ქვეყნის მოღალატეობრივ ბუნებას აჩვენებს. პოლიტიკიურად ასეთი სახის აქტივობები ოპოზიციისთვის ყოველმხრივ წამგებიანია, რამდენადაც ხალხში ეს ასოცირდება იმდაგვარად, რომ ოპოზიცია ქვეყნის და ხალხის ბედზე კი არ ზრუნავს, არამედ აღიარებს, რომ ჩვენი ქმედებებით (ხშირად ტყუილებით) სახელისუფლებო ოპონენტებს პოლიტიკურ ბრძოლაში ვერ ვაჯობეთ და იქნებ ამ საქმეში თქვენ, ამერიკელები, დაგვეხმაროთო!

მერწმუნეთ, ასეთი ოპოზიცია ნამეტნავად საცოდავია!

ვინმემ ისე არ გაგვიგოს, რომ ქვეყანაში თითქოს ყველაფერი კარგად არის, პრობლემები არ არსებობს, მთავრობა მკაცრ კრიტიკას არ იმსახურებს და სხვ., პირიქით, მთავრობა, მმართველი პარტია ყოველთვის მზად არის მიიღოს არგუმენტირებული, ობიექტიური კრიტიკა, მაგრამ, როცა არარსებულს აბრალებენ, გამუდმებით ცილს სწამებენ, სახელს უტეხენ ქვეყანას და ამით ცდილობენ, ხელოვნურად დაძაბონ სიტუაცია, მთავრობა და სახელმწიფო ინსტიტუტები ვალდებულნი არიან, ყველა ამ სახის გამოწვევას ადეკვატურად უპასუხონ, რათა არ დაუშვან ქაოსი და არეულობა ქვეყანაში.

რაც შეეხება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს, ამერიკელებს, როგორც ჩანს, ამ სახის მიმოწერის (ეპისტოლარული ჟანრის) გამოცდილება ნამდვილად არ გააჩნიათ, ამიტომაც ნაკლში ნუ ჩავუთვლით. წინათ, როცა ქართველები საჩივრებს, „ანონიმკებს“ წერდნენ მოსკოვში, კრემლში, კომისიები ჩამოდიოდა. ახლა, ეტყობა, სიტუაცია უფრო გამარტივდა, „დემოკრატიული“ გახდა და ამერიკელები კერძო წერილებით შემოიფარგლებიან. ამიტომ მომავალში ანალოგიურად, ალბათ, მოუწევთ ამერიკის კონგრესში საქართველოდან გაგზავნილი წერილებისთვის სპეციალური განყოფილების გახსნა, რის შემდეგაც ასეთი სახის წერილებზე პასუხები, ალბათ, უფრო ადეკვატური და საინტერესო იქნება...

ბონდო ქობულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სოფო ხორგუანი: „ნაცების“ ქმედებები ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება!

უფლებადამცველი სოფო ხორგუანი აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ქმედებები ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ არის მიმართული და დესტაბილიზაციის გამოწვევას ისახავს მიზნად.

როგორც სოფო ხორგუანმა აღნიშნა, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა საუბრები კანონის უზენაესობაზე, დემოკრატიზაციის პროცესის გაგრძელებაზე, არის მდარე ხარისხის თეატრალური წარმოდგენის რეკვიზიტი და ბუტაფორია. ოპოზიციის ლიდერები ქვეყანაში ანტიდასავლური ღირებულებების გაღვივებას ცდილობენ.

„ოპოზიციური ლიდერები „ნაციონალური მოძრაობიდან“ ქმნიან ისტერიას, თითქოს დასავლეთმა მიგვატოვა, სწორედ ეს იწვევს ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩვენი დასავლელი მეგობარი, ამერიკა თუ ევროპელი ქვეყნები ნათლად გვიჭერენ მხარს, აღნიშნავენ პროგრესს, რომელიც არის და აქვე უთითებენ, რომ განვითარება უნდა გაგრძელდეს. ისტერიას ქმნის მთავარი ოპოზიციური ძალა, ეს პირდაპირ არის მიმართული, რომ ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობები გაღვივდეს. ეს ხელს აძლევს მხოლოდ ჩვენს მტრებს და არავითარ შემთხვევაში ამ ქვეყნის მოქალაქეს ეს არ სჭირდება“, — აცხადებს სოფიო ხორგუანი.

საზოგადოებამ იცის, რომ ბათუ ქუთელია არის ნაცი, შმაცი...

შეცდომა კი არ გაეპარათ, ის გაეპარათ, რომ ბათუ ქუთელია მიუთითეს, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი. თორემ, რეალობა იყო ასახული. საბოლოო ჯამში, ეს გაასწორეს, თუმცა საზოგადოების აღქმაში ვერ გასწორდება, რადგან მან ისედაც იცის, რომ ბათუ ქუთელია არავითარი „ენჯეო“ არ არის. ის არის ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი — გონგო, ნაცი, შმაცი... ყველაფერი ამის ლუსტრაცია მოხდა, — განუცხადა ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი კობახიძემ, რომელიც „ორიონ სტრატეჯის“ განცხადებას გამოეხმაურა.

კობახიძის თქმით, წლების განმავლობაში ბათუ ქუთელია საზოგადოებას ურცხვად უმტკიცებდა, რომ იყო „ენჯეო“ და არა „ნაციონალური მოძრაობა“.

„ეს არის სამთავრობო არასამთავრობო ორგანიზაციები. თავის დროზე, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში მათ ეს ფუნქცია ჰქონდათ. როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაში გადავიდა, ისინი გონგოებიდან პროგონგოებად გადაიქცნენ, ანუ, ოპოზიციურ „ენჯეოებად“. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი ბათუ ქუთელია არის, რომელიც წლების განმავლობაში ურცხვად გვიმტკიცებდა, რომ ის იყო „ენჯეო“ და არა „ნაციონალური მოძრაობა“, თუმცა შესაბამის დოკუმენტში შეცდომა გაეპარათ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის უწყებას წარედგინა. ამით ნათლად გამოჩნდა ის, რაც ყველამ ვიცოდით, რომ ბათუ ქუთელია არ არის არავითარი „ენჯეო“. ჩვენ რომ ვსაუბრობთ, რომ ნაციონალები „ენჯეოების“ სახელით საუბრობენ, ეს ყველაფერი მარტივად დადასტურდა“, — განაცხადა კობახიძემ.

ქართველი სტუდენტები საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებიდან საქართველოში მობილობას უგამოცდოდ ითხოვენ

350-მდე ქართველი სტუდენტი უცხო ქვეყნებიდან საქართველოს უნივერსიტეტებში მობილობას უგამოცდოდ ითხოვს. განათლების სამინისტროსთან სტუდენტების ნაწილი შეიკრიბა, რომლებსაც კარვები აქვთ გაშლილი და აქციას მართავენ.

ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებიც კიევის, ერევნისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტებში 2019 წელს ჩაირიცხნენ და ახლა საქართველოს უნივერსიტეტებში მობილობით გადმოსვლა სურთ. ამისათვის მათ კანონმდებლობით დადგენილი ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება უწევთ, რასაც აპროტესტებენ. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ განათლების სამინისტრო მათ ხელოვნურ ბარიერებს უწესებს.

ვიცე-პოლკოვნიკ გიორგი ჯოჯიშვილს პატიმრობა შეეფარდა

თავდაცვის ძალების, ჯარების ლოჯისტიკის ცენტრის (აღმოსავლეთი) დაცვის ბატალიონის მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ გიორგი ჯოჯიშვილს სასამართლომ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო. როგორც ადვოკატმა განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფ წარდგენილ ბრალში დანაშაული არ მიუძღვის, ხოლო სამშენებლო მასალა სხვა პირის დასახმარებლად ჰქონდა წამოღებული.

„გარკვეული დახმარება გაუწია სხვა კონკრეტულ პირებს, ამ საკითხზე სრულყოფილი ინფორმაციის გაცემის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ეს არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი როგორც ოჯახიდან, ასევე თავდაცვის სისტემისგან. ეს არის სხვა პერსონა, რომელსაც დახმარება გაეწია ამ სამშენებლო მასალებით. საქმეში ასეთი რამე არ არის, რომ ვინმეს რამეს აიძულებდა. ეს არის სამხედრო სისტემა, როდესაც ბრძანება ზემდგომის მიერ აუცილებლად უნდა შესრულდეს და მას სხვა უფლება არ ჰქონდა“, — განაცხადა ადვოკატმა ნოდარ ცინცაძემ.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ პროკურორმა განაცხადა, საქმეზე გამოძიება გრძელდება. წინასასამართლო სხდომა 26 მარტს ჩაინიშნა.

სახელმწიფომ კომერციული ბანკებისგან 70 000 000 ლარი ისესხა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე გუშინ 70 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ორწლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აუქციონში ოთხი კომერციული ბანკი მონაწილეობდა. მოთხოვნამ 201 280 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 9 პროცენტით, მაქსიმალური 9.07 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 9.044 პროცენტით განისაზღვრა. კუპონური საპროცენტო განაკვეთი 9.375 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში მოხდება.

სასაცილოა, საჭირალი რომ არ იყოს!

„ხომ არ გამოვიდეთ ევროსაბჭოდან“?!

რუსული მედიის ინფორმაციით, საქართველომ, შესაძლოა, ევროსაბჭოს თხოვნით მიმართოს, მაისში მინისტრთა კომიტეტის სხდომა თბილისის ნაცვლად სტრასბურგში გაიმართოს.

„კომერსანტ.რუ“-ს ინფორმაციით, ამის შესახებ მათ საქართველოს ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა აცნობეს. გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული და ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მისამდე მოვლენები.

ამავე გამოცემის ინფორმაციით, მათ რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროებიდან შეიტყვეს, რომ **„იმის შანსი, სერგეი ლავროვი ყველაფრის მიუხედავად მაინც გადაწყვეტს თბილისში წასვლას, მაღალი არ არის“.**

მინისტერიალის სტრასბურგში ჩატარების მიზეზი ისაა, რომ რუსულ დელეგაციას, სავარაუდოდ, **სერგეი ლავროვი** უხელმძღვანელებს, რამაც შესაძლოა, საქართველოში საპროტესტო აქციები გამოიწვიოს. ვითარებას ამძიმებს ისიც, რომ სერგეი ლავროვს საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი არაერთხელ აქვს დარღვეული.

ექსპერტ **თორნიკე შარაშენიძის** აზრით, ერთადერთი სწორი ნაბიჯი იქნება, თუკი საქართველო ევროსაბჭოს მინისტერიალს თბილისის ნაცვლად სტრასბურგში ჩატარების თხოვნით მიმართავს. შარაშენიძის თქმით, ევროსაბჭოში იციან, რა დილემის წინაშე დგას საქართველო. როგორც წესი, მიღებულია, სხდომა გაიმართოს მასპინძელი ქვეყნის დედაქალაქში, ან სტრასბურგში. შესაბამისად, არანაირი სანქციების საშიშროება არ არის, როდესაც იციან, რა დილემის წინაშე ვდგავართ.

ევროსაბჭოს მინისტერიალის სტრასბურგში ჩატარებასთან დაკავშირებით

ექსპერტი **ნიკა ჩიტიძე** აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას სურს, ორი კურდღელი დაიჭიროს — თავი აარიდოს საქართველოში დემონსტრაციებს და რუსეთთანაც არ გაიფუჭოს ურთიერთობა.

უნდა ჩამოვიდეს თუ არა ლავროვი თბილისში, ამის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია. ზოგი ფიქრობს, რომ მტრის მიღებაც აუცილებელია, რადგან თვით ფიდელ კასტროც კი, რომლის წინააღმდეგაც აშშ-მა არაერთი ტერაქტი განახორციელა, ჩავიდა გაეროში და 1960 წელს 4 საათზე მეტხანს გაგრძელდა მისი მძვინვარე ანტიამერიკული გამოსვლა, რაც გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. ცივილიზებული სამყაროსთვის უცხო არ არის, როცა არასასურველი ლიდერები, მათ შორის, ირანის პრეზიდენტებიც კი ნიუ-იორკში ჩადიოდნენ და სიტყვითაც გამოდიოდნენ.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** აცხადებს, რომ მომიტინგეებმა, მათ შორის, გულანთებულმა პატარა ბიჭებმა არ იციან, რომ ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონი გამონაკლისის დაშვებას ითვალისწინებს. ამ გამონაკლისის თანახმად, ამავე კანონის ფარგლებში შეიძლება ჩამოვიდეს ლავროვი, რადგან იქ წერია, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში ასეთი რამ დასაშვებია.

„თავის დროზე ასე ჩამოვიდა საქართველოში ლუჟკოვი, იგი რამდენჯერმე იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში, სხვებიც იყვნენ ჩამოსულნი. ამ დროს კი ჩვენს პოლიტიკურ ელიტას შინაგანი დიპლომატიური ელასტიურობის ნასახი არა აქვს, ერთი მხარე ერთს ამბობს, მეორე მხარე —

მეორეს და ამ დროს სიმართლე, როგორც ყოველთვის, შუაშია“, — აცხადებს სოსო ცინცაძე და ოკუპაციის შესახებ კანონის წაკითხვას ურჩევს იმ ადამიანებს, რომლებიც ლავროვის საქართველოში ჩამოსვლას ეწინააღმდეგებიან.

პოლიტოლოგის რეკომენდაციით, ლავროვს, ახლა, ნუ ჩასვამენ მაინცდამაინც ზვიად გამსახურდიას სავარძელში, არც ექნება ამის პრეტენზია. ჯერ ისიც არ ვიცით, ჩამოდის თუ არა იგი საქართველოში, არც ის არის გადაწყვეტილი, თბილისში ჩატარდება თუ სტრასბურგში მინისტერიალი.

ანალიტიკოს **სოსო მანჯავიძის** აზრით, ლავროვის მიმართ პროტესტის გამოხატვას არავინ არავის დაუშლის. თუნდაც ტრამპი, ან ამერიკის კონგრესმენი რომ ჩადის ლონდონში, იაპონიაში ან კორეაში, იქაურები პროტესტს გამოხატავენ, მაგრამ

რევოლუციის მოწყობის, ხელისუფლების დამხობის მოწოდებები, რითიც გამოირჩევა გათავხედებული ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე და ტელეწამყვანი, კანონით მკაცრად უნდა ისჯებოდეს.

„თუ ჩვენ ევროსაბჭოს წევრი ვართ, უნდა გვახსოვდეს, რომ ევროსაბჭოს წევრია რუსეთიც. თუ გვინდა, ჩვენთან ჩავატაროთ მინისტერიალი, მაშინ უნდა დავემორჩილოთ იმ წესებსა და კანონებს, რაც მიღებულია ევროსაბჭოს მიერ. ამერიკასა და ირანს დაძაბული ურთიერთობა აქვთ, მაგრამ ამერიკაში ჩადის ირანის პრეზიდენტიც, ჩადიოდა ლიბიის პრეზიდენტიც, ჩადიოდა მადუროც და ჩავესიც. გასაგებია, რაც დგას ამ ისტერიის უკან. რას ნიშნავს, მინისტერიალის სტრასბურგში ჩატარება? თუ ჩვენ უარს ვამბობთ საერთაშორისოდ მიღებულ წესებზე იმის გამო, რომ აქ გვყავს იდიოტების ოპოზიცია, მაშინ უნდა გამოვიდეთ იმ ევროსაბჭოდან“, — მიიჩნევს სოსო მანჯავიძე.

ჩაიწერა
მანანა ნოზაძემ

დავით ზარდიაშვილი: დარწმუნებული ვარ, პროპორციული არჩევნების შემთხვევაშიც, „მეორე ტურს“, ე. წ. რიგგარეშე არჩევნებს, მაინც „ოცნება“ მოიგებს!

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** სოციალურ ქსელში წერს:

პროპორციული არჩევნები რომ ჩატარდეს, ძალიან დიდი ალბათობით, ვითარება უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნებისას შექმნილს დაემსგავსება: „პირველი ტური“ გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, ანუ პროპორციული არჩევ-

ნების შედეგად ვერც ერთი პოლიტიკური ბანაკი მთავრობას ვერ შექმნის და რიგგარეშე არჩევნების, ე.ი. „მეორე ტურის“ ჩატარება გახდება საჭირო საპარლამენტო უმრავლესობის გამოსავლენად. ხოლო სანამ ეს უმრავლესობა არ გამოვლინდება, ქვეყნის მმართველობა ისევ „ოცნების“ მთავრობისა იქნება.

დარწმუნებული ვარ, პროპორციული არჩევნების შემთხვევაშიც, „მეორე ტურს“, ე.ი. რიგგარეშე არჩევნებს მაინც „ოცნება“ მოიგებს!

ასე რომ, პროპორციული არჩევნები მხოლოდ ტურბულენტობაა, ზედმეტი თავის ტკივილია, ხოლო საბოლოო შედეგი მაინც იგივე იქნება.

ესეც რომ არ იყოს, მთავარი არ უნდა დაგვავიწყდეს:

ცხადია, ნაცების მიზანი არც არასდროს ყოფილა, არც ახლა არის და არც ოდესმე იქნება ხელისუფლებაში ვინმესთან „კოალიციით“ მოსვლა. მათი ზნე უცვლელია — დღესაც ზუსტად იგივეა, როგორც, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იყო, როცა ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის ტრიუმვირატი სულ რაღაც რამდენიმე თვეში დაიშალა! ახლაც დაახლოებით იგივე ელის ყველას, ვინც ნაცებთან კოალიციაში შევა. ოღონდ საკითხავია — ვის გაუყენებენ ნაცები ჟვანიას გზას დღევანდელი „მოკავშირეებიდან“ და ვის კიდევ „გააბურჯ-ჯღანებენ“.

ხოლო ისეთ ოპორტუნისტებს, როგორებიც „ვარდების რევოლუციის“ პირველ თვეებში მაშინდელი „რესპუბლიკელები“ იყვნენ, ნაცები პირველივე შესაძლებლობისთანავე, დაუყოვნებლივ მოიცილებენ თავიდან და ზუსტად ისე მოექცევიან, როგორც მაშინ — არაფრად ჩააგდებენ. მოეპყრობიან, როგორც არარას, როგორც აბსოლუტურად ცარიელ ადგილს (და მართლებიც იქნებიან!).

თუ ვინმე „ჟვანიობას“ დააპირებს, მის მოსაგუდად იუსუფოვსაც, კონსპირაციულ ბინასაც და გაფუჭებულ გაზის გამათბობელსაც ნაცები ისევე იოლად მოძებნიან... არც ის მგონია, ბოკერია უფრო წინდახედული იყოს, ვიდრე ჟვანია იყო...

რასაკვირველია, „ყველა ერთის წინააღმდეგ“, „პროპორციული არჩევნები“ და მერე „კოალიციური მთავრობაც“ ნაცებისთვის მხოლოდ ამ ვითარებაში ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა და არავითარ შემთხვევაში — მიზანი. მიზანი კი იგივეა — ამ ქვეყანაში ისევ ბოროტების გაბატონება!

ცხადია, ახლა სხვა დროა და ეს მიზანი მიუღწევადია! მაგრამ ნაცები მაქსიმალურ ტურბულენტობას, რაც შეიძლება მეტ განსაცდელს შექმნიან, ე.ი. ქართული სახელმწიფოს სტაბილურობის მოსაშლელად ყველაფერს გააკეთებენ, ცხოვრებას, რადმდენადაც შეძლებენ, იმდენად გაგვირთულებენ... თავიანთი პროპორციული არჩევნებიც ამისთვის მოიგონეს, როგორც მეტი არეულობის შექმნის მეთოდი და სხვა არც არაფერი!

FOR.GE

დიდთოვლობა სვანეთში

მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის თემში თოვლის საფარმა 1.5 მეტრს მიაღწია. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილმე ნინო ვიბლიანმა განაცხადა, ამ ეტაპზე გზები ჩაკეტილია და მოსახლეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება. მისივე თქმით, ადგილზე მობილიზებულია ტექნიკა და მიმდინარეობას გზებზე თოვლის გაწმენდითი სამუშაოები. ელექტროენერგიის მიწოდება კი რამდენიმე საათებში აღდგება.

* * *

მესტიის მუნიციპალიტეტში, რამდენიმედღიანი უხვი ნალექის გამო, ზუგდიდი-ჟვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 94-ე კმ-ზე, სოფელ დიზის მიმდებარე ტერიტორიაზე ზვავი ჩამოწვა.

შედეგად გზის აღნიშნულ მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა შეჩერებულია. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, მობილიზებულია შესაბამისი ტექნიკა და უკვე დაიწყო გაწმენდითი სამუშაოები.

მცხეთიჯვარი-კორბოულის მონაკვეთზე მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ინტენსიური თოვისა და დაბალი ტემპერატურის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ14-კმ40 (მცხეთიჯვარი-კორბოული) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა. მათივე ინფორმაციით, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ცნობილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, მომღერალი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, თბილისის საპატიო მოქალაქე და ღირსების ორდენის კავალერი ფოლად ბულ-ბულ ოღლი იუბილარია.

ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობის მატიანეს მრავალი პიროვნება ამშვენებს. მათ შორის გამორჩეულია ბატონი ფოლადი, რომელმაც წლების განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა და დღესაც იღვწის ამ ურთიერთობათა განსამტკიცებლად. ცნობილია, რომ ფოლადის მამა – გამოჩენილი აზერბაიჯანელი მომღერალი ბულ-ბული დაიბადა მთიან ყარაბაღში – შუშაში.1928 წლიდან სანდრო ინაშვილის ხელშეწყობით იგი მილანში ეუფლებოდა ვოკალურ ხელოვნებას (ბელკანტოს). „რკინის ფარდის“ ხანაში, სტაჟირების დასრულების შემდეგ, სტალინმა მას ნება დართო ორი წლით გაეგრძელებინა სწავლა. როგორც მაშინ წერდნენ, „იტალიიდან დაბრუნების შემდეგ იგი ლეგენდად იქცა“.



ბულ-ბულის ძეგლთან თბილისში, სკულპტურული პორტრეტის ავტორები – მოქანდაკე გია ჯაფარიძე, არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი

ვალერი ასათიანი

„მომღერალი ელჩი“

ფოლადის მამა თბილისში პირველად 1911 წელს ჩამოვიდა, სადაც გაიცნო და ცოლად შეირთო ქალბატონი ადელია კასიმოვა, თავადური წარმომავლობის ქეთევან ვეზირიშვილის ქალიშვილი. ოსიაურში დღესაც დგას მათი საგვარეულოს ჟამგამოვლილი სასახლე. ფოლადი იქ დროდადრო სტუმრობს...

ფოლადის დედის, ქალბატონი ადელიას დიდი წინაპარი იყო გიორგი ვეზირიშვილი – ერეკლე მეორის (1720-1798) თანამედროვე და მისი უერთგულესი თანამებრძოლი, კრწანისის ომის გმირი. პირველად ვეზირიშვილებს მოიხსენიებს იოანე ბატონიშვილი („შემოკლებული აღწერა საქართველოისა...“). ეს და სხვა წყაროები შესწავლილი აქვს პროფესორ შოთა მესხიას. 1772 წელს მეფე ერეკლემ გიორგი ვეზირიშვილს უბოძა თავადობა და საკუთრებაში გადასცა სოფელი ოსიაური. გიორგის ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა. ერთერთს, დიმიტრის, ცოლად ჰყავდა ბარბალე ბარათაშვილი – ნიკოლოზ ბარათაშვილის და. დიმიტრის და ბარბალეს ვაჟმა გიორგიმ ბევრი რამ გააკეთა საკუთარი ბიძის – ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციისთვის. 1915 წელს პოეტის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით პოეტის თხზულებათა პირველი გამოცემა სწორედ მისი თაოსნობით შედგა. ასევე საურადღებოა მიხეილ ვეზირიშვილის ურთიერთობა ილიასთან. ამ საკითხებს ვრცლად განიხილავს თავის წიგნში პროფესორი ვაჟა შუბითიძე.კიდევ ბევრი რამაა სათქმელი ფოლადის წინაპრების შესახებ...

ფოლადის მამა ბულ-ბული მეგობრული გრძნობით იყო გამსჭვალული თავისი კოლეგების – პეტრე ამირანაშვილის, დავით გამრეკელის, მერი ნაკაშიძის, ვლადიმერ კანდელაკის მიმართ. „ოთარ თაქთაქიშვილი დიდხანს ვერ დამშვიდდა, როცა ბულ-ბულის შესრულებით უზეირ ჰაჯიბეკოვის რომანსი „სევგილ ჯანანი“ მოისმინა. „ეს გამაოგნებელია, ასეთ რამეს განა მშვიდად მოისმენ?!“ გამოთხოვებისას მისთვის ბათუ კრავეიშვილი მღეროდა, ქართველი ხალხის სახელით კი პავლე ხუჭუა მიმართავდა: „ბულ-ბული, არაჩვეულებრივი მომღერალი და არტისტი, რომელიც შთაგონებას მარად ხალხთან სიახლოვეში პოვებდა, საქართველოში საყოველთაო აღიარებით სარგებლობს. აზერბაიჯანელი ხალხის ტკივილს ქართველი ხალხი იზიარებს“ (ს.ქეცბა).

აი, რა ბრძანა ბულ-ბულმა თბილისის 1500 წლისთავის საზეიმო დღეებში: „ეს ქალაქი ჩემი მეგობრებისაა – ვანო სარაჯიშვილის, გრიგოლ კილაძის, იოსებ გრიშაშვილის, აკაკი ხორავას, პეტრე ამირანაშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, მიხეილ ჭიაურელისა... და განა ძალმიძს ყველას ჩამოთვლა, ვისთანაც დიდი ხანია, დაკავშირებული ვარ, რომლებზეც ყოველთვის ვლაპარაკობ და ვფიქრობ უდიდესი სითბოთი“.

ფოლადი იზრდებოდა არაჩვეულებრივ გარემოში, ურთიერთობა უწევდა სახელოვან პიროვნებებთან, რამაც, ბუნებრივია, დიდად შეუწყო ხელი მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

მან მალე დაკარგა თავისი ძვირფასი მამა ბულ-ბული. ფოლადი წერს: **„მე ვიყავი ნაბოლარა და მამასთან განსხვავება ასაკში ძალზე დიდი იყო. და თითქოს ის გრძნობდა ადრე წასვლას ამ ქვეყნიდან და მე, როგორც ტოლს, ისე მელაპარაკებოდა, ცდილობდა, რომ მალე დავვაჟკაცებულიყავი. მაშინ მე მისი ნაამბობიდან ბევრი რამ არ მესმოდა, მაგრამ ყოველივე მაინც აღმებეჭდა მეხსიერებაში, რაც შემდგომში, როცა მამა აღარ იყო, ძალზე გამომადგა“.** ფოლადის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში, ბუნებრივია, დიდია დედის – ქალბატონი ადელიას დამსახურება. პირადად მე სიამოვნებით ვიხსენებ მასთან შეხვედრებს, მის შესანიშნავ ქართულს, სითბოს მრავალჯერ გამოხატულს საქართველოს მიმართ...

ფოლადის დედა, ქალბატონი ადელია.

ფოლადი ბავშვობიდანვე მღეროდა, ოცნებობდა მუსიკის შექმნას... სასცენო ნათლობა მან, 12 წლისამ, 1957 წელს მიიღო მამის საიუბილეო კონცერტზე. რეპერტუარში აზერბაიჯანულ, იტალიურ და რუსულ სიმღერებთან ერთად იყო ქართული „ლალები, ლალები...“ ეს სიმღერა მან დიდი აღმაფრენით შეასრულა თბილისშიც 2015 წელს უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან გამართულ შეხვედრაზე. აქვე გავიხსენებ ფოლადის შესანიშნავ საიუბილეო შემოქმედებით საღამოს, რომელიც გაიმართა ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში. საღამოს წარმართავდა და სადირიჟორო პულტთან იდგა ბატონი ვახტანგ კახიძე, რომელმაც გზა დაულოცა ფოლადის უმცროს ვაჟს, დამწყებ დირიჟორს მურთუზას.

ფოლადი ამაყობს იმით, რომ იგი იყო დიდი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის კარა კარაევის მოწაფე. 1969 წლიდან ფოლადმა კონცერტებით მოიარა მაშინდელი საბჭოთა კავშირი და მსოფლიოს 70-ზე მეტი ქვეყანა. მის გამოსვლებზე ივსებოდა სტადიონები, სპორტის სასახლეები. იმასაც კი იხსენებენ, რომ წესრიგის დასამყარებლად ზოგჯერ ცხენოსან პოლიციელთა ჩარევაც კი ხდებოდა საჭირო. პოპულარული მომღერლის – ფოლადის პირველი გრამფირფიტის 10-მილიონიანი ტირაჟი უცბად გავრცელდა ხალხში.

1987 წლიდან ფოლადი სათავეში ჩაუდგა აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიას, რომელიც უდიდესი სირთულეების მიუხედავად, სულ მოკლე ხანში ააღორძინა. 1988 იგი ხდება აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი. ამ პოსტზე მან 18 წელი იღვაწა და საყოველთაო აღიარებით ბევრი რამ შესძინა თავის მშობლიურ ქვეყანას. გაჩნდა ხელოვნების ახალი კერები, განმტკიცდა კულტურის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განვითარდა ხალხური შემოქმედება, მეტად გაეხსნა გზა კლასიკურ მემკვიდრეობას და თანამედროვე ხელოვნებას, განმტკიცდა საერთაშორისო კულტურული კავშირები, ხელი შეეწყო ნიჭიერ ახალგაზრდობას. მან ეფექტურად განახორციელა დროით ნაკარნახევი მოთხოვნები. და, რაც მთავარია, პრიორიტეტად იქცა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ცხადია, ეს ძალზე მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მცირერიცხოვანი (და არა ხშირად უმართებულოდ გამოყენებული სიტყვა „პატარა“) ერებისთვის. ერის სიდიადე მოსახლეობის რაოდენობით და ტერიტორიით ნამდვილად არ განისაზღვრება....

გვახარებს, რომ წლების მანძილზე ჩვენი ურთიერთთანამშრომლობით გამყარდა აზერბაიჯანელ და ქართველ მწერალთა, ხელოვანთა შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობები. ეწყობოდა კულტურის დღეები, ფესტივალები, გამოფენები, ბიენალეები, ბაქოსა და თბილისში იდგმებოდა ძეგლები. აზერბაიჯანის დედაქალაქში გაიხსნა თბილისის პროსპექტი, მრავალგან გაიხსნა მუზეუმები და ა. შ. ერთი სიტყვით, იყო მუდმივი საქმიანი კონტაქტები, რაც მთავარია, თბილი ადამიანური ურთიერთობა. აღარაფერს ვამბობ კავკასიის, განსაკუთრებით, ამიერკავკასიის ხალხთა შორის არსებულ კონტაქტებზე, ერთობლივი ფორუმების შესახებ, ამ თვალსაზრისით საქართველოს, განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო კონსერვატორიისა და იმჟამინდელი თეატრალური ინსტიტუტის უმნიშვნელოვანესი როლის თაობაზე კავკასიაში შემოქმედებითი კადრების მომზადების თვალსაზრისით...

მრავალფეროვანია ფოლადის შემოქმედება: სიმფონიური და კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა, ვოკალური ციკლები, მიუზიკლები, კინო მუსიკა (30 ფილმისთვის), მუსიკა სპექტაკლებისთვის, ბალეტები და სხვ.

უნდა სიამოვნებით აღვნიშნო ის ფაქტი, რომ 2017 წელს ბათუმში მოხდა დაუვიწყარი კულტურული მოვლენა – ფოლადის მუსიკაზე შექმნილი საბალეტო სპექტაკლის („ხამსე“, ნიზამი განჯელის მიხედვით) პრემიერა დაიდგა. სპექტაკლის ბალეტმაისტერი – მარიამ ალექსიძე, მხატვარი – თეიმურაზ მურვანიძე.

წლების მანძილზე ფოლადის სიმღერებს მის გარდა ასრულებდნენ მუსლიმ მაგომაევი, იოსებ კობზონი, ლევ ლეშჩენკო, ლუდმილა სენჩინა, ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე, ზეინაბ ხანლაროვა, ანსამბლი „გაია“ და სხვანი.ფოლადს დიდი, მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებს ნანი ბრეგვაძესთან და ბუბა კიკაბიძესთან და ამას ყოველთვის მთელი გულწრფელობით გამოხატავს... ფოლადის შემოქმედებაში თანამედროვე რითმები და ჰარმონიები ოსტატურად შეერწყა ეროვნულ მელოდიზმს, რამაც განაპირობა ახალი მუსიკალური მიმართულების შექმნა. მოძმე აზერბაიჯანში ამ მიმართულებას მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა.

ფოლადის თაოსნობით შეიქმნა სახელოვანი მამის სახელობის ფონდი, დაარსდა ბულ-ბულის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი (1997 წ.), რომლის ჟიურის შემადგენლობაში საყოველთაოდ აღიარებულ ხელოვანებთან (ევგენი ნესტერენკო, ირინა არხიპოვა, სერგეი ლეიფერკუსი და სხვ.) შედიოდა ბატონი ნოდარ ანდღულაძე,ხოლო ამჟამად ჩვენს ქვეყანას წარმოადგენს საქართველოს სახალხო არტისტი თეიმურაზ გუგუშვილი, რომელიც ხშირად ძალზე წარმატებულად მღერის ბაქოში – ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. თავის დროზე ხსენებული კონკურსის ლაურეატები გახდნენ ქართველი ვოკალისტები ბესიკ გაბიტაშვილი, გიორგი ონიანი, მიშელინა ქობალიანი, დავით გველესიანი, ლეგი იმედაშვილი, სოფო გორდელაძე, ირმა გოგოლაშვილი, ეკა გაბიტაშვილი, მარიამ კუბლაშვილი და სხვ. მრავალი მათგანი დღეს მოღვაწეობს სხვადასხვა ქვეყანაში.

2006 წლიდან დღემდე ფოლად ბულ-ბულ ოღლი არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. მას პატივს სცემენ, ანგარიშს უწევენ. იგი ძალზე აქტიური დიპლომატია, საოცარი ადამიანური სითბოსი, ტაქტის, გამოცდილების, ენერგიის მქონე. იმავდროულად შეუვალი, მტკიცე ხასიათის. იგი სიტყვის კაცია. ბუნებრივია, ფოლადი ძალზე მტკივნეულად განიცდის, რომ მისმა სამშობლომ დაკარგა მიწა-წყალი და ეს დიდ პრობლემებს უკავშირდება... აი, ამ ვითარებაში მან – ელჩმა მაინც შეძლო ყარაბაღში ჩასვლა, შევიდა თავისი ძვირფასი მამის მშობლიურ, დარბეულ სახლში – შუშაში და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა გრძნობები დაეუფლებოდა მას იმ წუთებში... ვიმეორებ, მას ეყო გაბედულება, მან შეძლო ამ ნაბიჯის გადადგმა... (ლათ. Ab uno disce omnes – „ერთის მიხედვით იმსჯელე ყოველზე“).... ახალს არაფერს ვიტყვი, თუ შეგახსენებთ, რომ უმოქმედობას გამართლება არა აქვს...

როგორც აღნიშნავს თვალსაჩინო პიანისტი ფარხად ბადალბეილი (მამამისი შამსე ბადალბეილი წარსულში აზერბაიჯანის სახალხო არტისტი და თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, დიდი ქართველი რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის მეგობარი), „ფოლადი დაიბადა დიდ სამამულო ომში გამარჯვების წელს და იგი გამარჯვებულის შემართებით წარმატებით მიიწევს წინ“.

როგორც აღვნიშნე, მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს აზერბაიჯანსა და საქართველოს. ისტორიამ შემოინახა ცნობები ერთობლივი ბრძოლებისა საერთო მტრის წინააღმდეგ. ისტორია გვაძლევს სულიერი ნათესაობის მაგალითებს, რომლის მატარებლები იყვნენ და არიან კულტურის მოღვაწენი, მეცნიერები, პოლიტიკოსები... უახლოესი წარსულიც იძლევა თანადგომის შესანიშნავ მაგალითებს. ყოველივე ეს მკვიდრი ნიადაგია საჭირბოროტო საკითხების დადებითად გადასაწყვეტად, მათ მოსაგვარებლად... ამ თვალსაზრისით დიდია ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგების როლი და მნიშვნელობა. მათ შორის, რასაკვირველია, მეგულება ჩემი მეგობარი ფოლად ბულ-ბულ ოღლი.

ვუსურვებ მას ყოველივე საუკეთესოს და მადლობას ვეუბნები საქართველოს სიყვარულისთვის, დღემდე გაწეული კეთილი საქმეებისთვის, ერთგულებისთვის, უღალატობისთვის, შეჭირვების ჟამს იშვიათი ადამიანური თანადგომისთვის!

მახარებს, რომ იგი დღეს დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწე ხელოვანი („მომღერალი ელჩი“) მრავალთათვის წარმოადგენს შესანიშნავ მაგალითს იმისა, თუ როგორი კომპეტენტურობით, გამჭრიახობით, თავდადებით და პრინციპულობით უნდა ემსახურო საკუთარ ერს, სამშობლოს!

ფილმ „ფოსტა – სამხრეთში“ გადაღებისას

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,



– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

პიროვნება

ჩემს თავს ვეუბნებოდი: თუ ცოლს სჯერა, რომ ცოცხალი ვარ, ისიც სჯერა, რომ მივდივარ, ამხანაგთ სჯერათ, რომ მივდივარ, ახლობელთ სჯერათ და სწამთ ჩემი. არამზადა ვიყვე, თუ არ გავუმართლო მოლოდინი.

* * *

მაშინ მშიერი მივდიოდი, ასე რომ, თავად გამიგეს, მესამე დღეს გულმა რეჩხი მიყო... მივხოხავ ციცაბოზე, ქვემოთ ხრამია, უფსკრული, თოვლს ვთხრი, ვაორმოებ, რა არი მუშტი ჩავყო და მუშტებს ჩამოვეკიდო. უცებ გული მიჩერდება. ხან მისიკვდილდება, ხანაც ისევ მიძგერს. მაგრამ საშინლად მიციმციმებს. ვგრძნობ, წამითაც რომ შეწყვიტოს ძგერა, კარგად მეყოლეთ. ერთ ადგილას გავიყინე და ვაყურადებ, აბა, ერთი რა ხდება შიგნით, საგულეში-მეთქი? არცროდის, გესმის, არცროდის აგრერიგად ყური არ დამიგდია ძრავისთვის, როგორაც ამ წუთებში საკუთარი გულისთვის. ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული და ვეუბნები – მიდი, იძგერე, არ გაჩერდე: ერთი კიდევ სცადე... მაგრამ გულს ჩემი არ ესმოდა. ჩერდებასავით და მერე ისევ ძგერას იწყებს... ნეტავი გაცოდინა, რა მეამაყებოდა მაშინ ჩემი გული!

* * *

მთავარ ღირსებას იმისას სულ სხვა რამეში უნდა ვხედავდეთ. ის დიადი იყო იმით, რომ პასუხისმგებლობას აღიარებდა. ის თავისი თავის პასუხისმგებელი იყო, პასუხს აგებდა ფოსტისთვის, მეგობრებისთვის, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ ის დაბრუნდებოდა. იმათი მწუხარება თუ სიხარული იმის ხელთ იყო. პასუხს აგებდა ყოველივე ახლისთვის, რაც იქ, ქვემოთ, იქმნებოდა და ამ შექმნაში იმასაც უნდა ემონაწილევა. ის პასუხს აგებდა კაცობრიობის ბედ-იღბლისთვის, რაც იმის შრომაზეც არის დამოკიდებული.

* * *

ვინც ელოდება, იმათი განაჩენი არ გამოუცხადებიათ.

* * *

წყლულმა მოსპო არა ერთი კაცი, არამედ მთელი კაცობრიობა ამოიჭამა.

* * *

ზოგისთვის ჭეშმარიტება შენებაა, ზოგისთვის კიდევ აშენებულში ფეხის მოკიდება.

* * *

ადამიანი საკუთარ თავს წინააღმდეგობებთან ბრძოლაში შეიცნობს.

* * *

დიახ, როგორც ჩანს, დაზავება ყველაფერთან შეიძლება, რასთანაც ინებებ, არცრა ხელს უშლის ადამიანს იმის გაგების სიხარულში, რომ ოცდაათ წელიწადში დაემშვიდობება სამზეოს. არადა, რა ოცდაათი წელიწადი, რა სამი დღე... აქ ის საკითხი წამოყოფს თავს, რა საზომით ვზომავთ.

* * *

ის თავისუფალი იყო, მაშასადამე, იმას ჰქონდა სიყვარულის მოპოვების ყოვლის უფრო ძვირფასი უფლება, სადაც მოეპრიანება, იქ წასვლისა და თავისი ოფლით თავისივე ლუკმა-პურის მოპოვების უფლება. მაშ, აბა, ფული რაღად უნდა? ფული ვერ მოუკლავს შიმშილსავით მწვავე, მწველ სურვილს იმისას, რომ ადამიანებში ადამიანი იყვეს და შეიგრძნოს სამყაროსთან თავისი კავშირი.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-20

სუყოველი ადამიანის სიკვდილთან ერთად კვდება იდუმალი რამ სამყარო.

* * *

ოთხი წელიწადი ტყვეობაში გაატარა, მაგრამ მაინც დაუმორჩილებელი დარჩა: ადვილი არ არის იმის დავიწყება, რომ ოდესღაც ხელმწიფე იყავი.

* * *

უსიამოვნება ბევრი შეგხვდება, სხვანაირად არ გამოვა. შენ კი მაინც აგრე იფიქრე: სხვებიც ხომ დაფრინავდნენ, იმათაც გაიარეს ეს გზა, მაშასადამე, მეც გავალ.

* * *

ვიდექი და ყურს ვუგდებდი დაავადებათა თაობაზე წყნარ მასლაათს, საუბრობდნენ აგრეთვე ფულზე, მოსაბეზრებელ შინაურ საზრუნავზე, და ყოველივეს უკან ჩანდნენ უბადრუკი ციხის კედლები, სადაც ამ ადამიანებმა თავი გამოიმწყვდიეს.

* * *

ის ხანგრძლივ ეთამაშებოდა იმათ საშიშ თამაშს – ფსონი იყო სიცოცხლე. მან გაიზიარა იმ თამაშის წესები. როცა იძინებდა, თავს იმათ ქვებზე დებდა. სულ სირბილში იყო და იმათსავით ისიც თავის ღამეებს ქარებთან და ვარსკვლავებთან განმარტოებით ატარებდა, როგორც რომ პირველყოფილ ჟამს. და აი, ერთხელაც წავიდა, მაშასადამე, თამაში არ იყო იმისთვის უპირველესი რამ. მან დაუდევრად მიუგდო განქო, მავრნო, უჩემოდ ითამაშეთო, და ისინი შეშფოთდნენ – ნუთუ აზრი რამ არის ამ ცხოვრებაში, უკეთუ მთლად, უნარჩენოდ არ მიჰყავს ადამიანი? მაგრამ არა, იმათ უნდათ, რომ ადამიანისა სწამდეთ.

* * *

დიდებული რამ არის ეს ქვეყნიერება, ის თავისუფლებას არ იცავს – უდაბნოში ადამიანი მუდამ თავისუფალია, – არც განძს რასმე, თვალით ხილულს უდაბნოში ის არ მოიძევებს, – ის იცავს თავის შინაგან სამეფოს.

* * *

მე ნამდვილი ცხოვრება მინდა. ქალაქებში კი ადამიანებს დაავიწყდათ ნამდვილი ცხოვრება.

* * *

რა გვეთქმის, მოწოდება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ერთი კარჩაკეტილი ზის თავის დუქანში, მეორე განუხრელად მიაბიჯებს თავისი მიზნისკენ – და, ის კი არა, უკვე იმის ბავშვობაშია შესაძლებელი იმ პირველ მისწრაფებათა შემჩნევა იმისავე ბედ-იღბალზე რომ ახდენენ გავლენას. მაგრამ, თუ იმ ამბავზე ჩამოვაგდებთ სიტყვას, როს ის ბედ-იღბალი უკვე ხორცს შეისხამს, ადვილია შეცდომის დაშვება. იმავე კვეთებისა და მისწრაფების უნარი აქვს თითქმის სუყოველ ადამიანს.

* * *

არის ერთი ისეთი კაცობრივი რამ თვისება, რის სახელდებაც ჯერეთ არ მოუგონიათ. იქნებ სულაც სიდარბაისლეა? არა, არ უდგება. ამას კარგად ეთვისება ღიმილიც, მხიარული ზნეც. ის ნიშანდობლივია დურგლისთვის: როგორც სწორი სწორთან, ისე დგას ის პირისპირ ფიცრის ნაჭერთან, ათვალიერებს, ზომავს, ცარიელი თვითმოიმედეობის უარმყოფელი თავისი ძალისხმევითა და უნარით შეიარაღებული იწყებს სამუშაოს.

* * *

ხიფათს რომ იგრძნობ, კვლავ გესმის, რასაც ნიშნავს ადამიანად ყოფნა.

* * *

ოდენ მატერიალური კეთილდღეობისთვის თუ ვირჯებით, ჩვენ თავად ვუშენებთ ჩვენსავე თავს ციხეს და ვიკეტებით მარტოობაში. თუმც მთელი ჩვენი ავლადიდება მტვერია და ნაცარი, იმათგან კი არც ერთს არ ძალუძს ჩვენთვის იმის მოცემა, რისი გულისთვისაც ღირს სიცოცხლე.

* * *

გვაშინებს მხოლოდ შეუმჩნევლობა, ოღონდ როს ადამიანი იმის პირისპირ აღმოჩნდება, შეუმჩნევლობა იკარგება.

* * *

სუყოველ დუნდგო ხალხში არიან ადამიანები, არცრით რომ არ გამოირჩევიან იმ დუნდგოსგან.

* * *

წარუმატებლობა აწრთობს ძლიერთ.

* * *

ადამიანის ჭეშმარიტება ის არის, რაც იმას ადამიანად ხდის... ჭეშმარიტება ზედაპირზე არ დევს... უკეთუ ეს რელიგიაა, კულტურაა, საგანთა რამ საზომია, შემოქმედების სახეა და არა სხვა რამ, ადამიანს სულიერად ავსებს, აძლიერებს, რასაც ის თავის თავში არა გრძნობდა, მაშასადამე, სწორედ ეს არის ადამიანის ჭეშმარიტება.

* * *

განთიადის ჟამს შენ მთელი ხალხის აზრები უნდა მოაქციო შენს უგერგილო ხელებში და ვითარცა განძი რამ, ლაბადის ქვეშ გადამალული, გადაიტან ათასწლეულთა წიაღ. ფოსტაო, გითხრეს, ძვირფასი რამ არისო, სიცოცხლეზე ბევრად ფასეულიაო. ისიც ხომ სიცოცხლესავით მყიფეაო.

* * *

ჩვენ ხომ ნახირი არა ვართ, რომელსაც ძოვება უნდა, და როს ქვეყნად ჩნდება ერთი ბეჩავი პასკალი, ეს უფრო ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ათობით ბედნიერი არარაობის გაჩენა.

* * *

ზუსტ მეცნიერებათა განყოფილების უკანასკნელმა ორასანმა ბევრად მეტი იცის, ვიდრე დეკარტმა და პასკალმა. მაგრამ განა შეგირდს ვისმე ასე აზროვნება ძალუძს, როგორც ისინი აზროვნებდნენ?

* * *

ადამიანი თავის თავს წინააღმდეგობებთან ბრძოლაში შეიცნობს. ოღონდ ამ ბრძოლაში ჩასაბმელად იარაღი სჭირდება.

* * *

განა ღირდა წვრილმანების გამო მღელვარება, როცა შეწუხება ოდენ მთვარის ღალატს ძალედვა...

* * *

ახლა, როცა თავისი პირადი სამყარო შექმნა, მოხერხებულად შეეძლო შიგა მოწყობა.

* * *

სამწუხაროდ, ადამიანებთან ისეთი თამაშის თამაშია შესაძლებელი, რომლის დროსაც არცრა აზრს არ ეწევა ანგარიში. მოგება თუ წაგება წმინდა წყლის გარე მიზეზებზეა დამოკიდებული და არცთუ იშვიათად ყალბი, ვითარსი მოგებაც კი ხელ-ფეხს გვიკრავს.

7 7 7

ის საერთოდ არ ფიქრობს და ეს არასწორი ფიქრის საშუალებას ართმევს.

* * *

თუმცა ადამიანის სიცოცხლე ყოვლის ძვირფასია ამქვეყნად, მაგრამ მაინც ისე ვიქცევით, თითქოს დედამიწაზე კიდევ უფრო ფასეული თუ ღირებული რამ არსებობდეს, ვიდრე ადამიანის სიცოცხლეა... მაგრამ ნეტავი, რა შეიძლება რომ ეს იყოს?..

* * *

შენს თავსა შიგან ვერცრა უკვდავებას ვერ იპოვი.

* * *

ეს გატრიზავება იმას თვით ცხოვრების მიერ დასაღუპად განწირულ უაზრობად ეჩვენებოდა.

* * *

თითოეულ ადამიანს თავზე ათი ათასი მეტრი მოწმენდილი ცა ახურავს.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

მეუღლესთან ერთად

ემოციები „ფოტოემოციების“ ფონზე

„ამ წიგნის ნაწილები, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პატარ-პატარა ამბები, 10 წლის განმავლობაში ცალ-ცალკე იწერებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა — სტილით, სხვადასხვა — მიზნით, სხვადასხვა — მუზით, სხვადასხვა — დარდით...“ — წერს ამ შესანიშნავი წიგნის, რომელზეც მოკლედ მსურს, მოგითხროთ, შესავალში ცნობილი ისტორიკოსი და მკვლევარი, უნიჭიერესი ფოტოხელოვანი, პედაგოგი, ბატონი ბუბა კუდავა.

ეს წიგნი კი „ტაო-კლარჯეთი. ფოტოემოციები“, რომელიც სულ ახლახან გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა, პატარ-პატარა ამბებიაო, ბრძანებს ავტორი, წაიკითხავ და უდიდესი ისტორიაა, დიდი სევდაა, დიდი სიყვარულია, დიდი აღმოჩენები — აღმოჩენები შენს ახლანდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილი ძირძველი მიწისა, ტაო-კლარჯეთს რომ ვუწოდებთ, გინდაც — ერუშეთს, გინდაც — შავშეთს, არტაანსა და კოლას, მაჭახელასა და ლაზეთს, ბასიანსა და სპერს, შენს ფუძედ რომ მიიჩნევ და შენს სევდად რომ ატარებ ქართველი კაცი. კითხულობ ამ პატარ-პატარა ამბებს და აკომპანემენტად იქ დარჩენილი ტაძართა ზარების ხმა ჩაგესმის, თითქმის ცალკედლად დარჩენილ ტალანებში მოარულ ბერთა ლოცვა-ბუტბუტიც წვდება ყურს და მთის წვეროებზე მიყუჟულ ციხე-სიმაგრეთა გოდოლებიანი იარაღის ჟღარუნიც არ გასვენებს, სისხლს გიჩქროლებს, საბრძოლველად განგაწყობს, სალოცავად გამზადებს და სულს გიფორიაქებს.


ბუბა კუდავა

ამ ულამაზესი კუთხის, ძირძველი საქართველოს მემატიანე და მეციხოვნეა ბუბა კუდავა, მისთვის ყოველი კორტოხი, ხევი, ველი, მდინარე შინაურია, ყველა შავშელი და კლარჯელი, ლაზი და მაჭახელელი სისხლი და ხორცია, თითო გოჯი მიწა უამრავჯერ აქვს მოვლილ-ნაფერები, თითოეული ნანგრევის მეისტორიეა, მოკლედ, შინაურია იმიერსაქართველოში. ამიტომაც წერს — სხვადასხვა სტილითა და სხვადასხვა დარდით ვწერდიო.

მხოლოდ ბუბას მახვილ თვალს არ გამოეპარება კლდის ფრიალოზე თუნდაც ერთი კენჭი ნაციხარისა, იმათგან განსხვავებით, ვისაც მილიონჯერ გაუვლია იქ და ან — არ, ან ვერ შეუნიშნავს. ამას სხვათაგან გამორჩეული გუმანიც უნდა, საუკუნეების იქიდან იმპულსურად რომ გიჩქროლებს სულს.

ტაო-კლარჯეთი ხომ ერთი ამოუწურავი სამყაროა ისტორიკოსთათვის, არქეოლოგთათვის, ენათმეცნიერთათვის, საზღვრებს მიღმა დარჩენილი სამშობლოს ნოსტალგიით შეპყრობილთათვის, ამიტომაცაა, რომ ერთგულ მეგობრებთან ერთად, მასავით გულქართლ ადამიანებთან ყოველ წელიწადს ეწვევა ხოლმე იქაურობას, ხანძთელთა ნაფეხურებს ეფერება, თითოეულ კენჭსა და ხავსმოკიდებულ ტაძრეულ, ნაეკლესიარ, ნაციხარ ლოდს ელამუნება და თავისად მიიჩნევს. განუყრელი ფოტოაპარატით უნიკალურ კადრებს უნახავს შთამომავლობას, აკი, ბევრიც შემდეგ ჩასვლაზე სხვაგვარია, გადაკეთებული, ანდაც სულაც გამქრალი...

ახალგაზრდობის დროინდელი გატაცება — ალპინიზმიც ხელს უწყობს ამ მამულიშვილურ საქმეში — ქარაფებზე, მიუვალ კლდეებზე გაბედულად ადის... ადის და პოულობს წინაპართა ნაშთს, რომელიც სულ ციცქნა მოჭიქულ ნატეხად შემორჩენია იქაურობას, დასტურად იმისა, რომ აქ ჩვენებს უცხოვრიათ, უღვაწიათ, უბრძოლიათ. ეფერება ამ არტეფაქტებს, პატარა ემოციებად კინძავს უნიკალურ ფოტოებთან ერთად და თავის მოსწავლეებს, შთამომავლობას არ უკარგავს იმას, რაც მწარე ისტორიულმა ქარტეხილებმა დაგვაკარგვინეს.




ხარება დღე ოშკის ტაძარში


კავკასიძეების ციხე

ოშკი, ბანა, ტაოსკარი, პარხალი, უსახელო ხუროთმოძღვარნი, მეციხოვნენი, ბერები, ჩვენი გმირი წინაპრები ჯავახები და ერუშეთელები, უსახელო ნაეკლესიარები და ნატაძრალები, ბევრი ჩვენთვის უცნობი და მისი და მისი მეგობრების მიერ აღმოჩენილები, იქაურთა ხსოვნაში მამა-პაპისგან გადმოცემულნი და ხელახლა აღმოჩენილნი.

იქით შატბერდია, აქეთ — თუხარისი, ხახული და ოქრობაგეთი, ოპიზა და მიძნაგორი... ათი? ოცდაათი? ასი? — ბუბას ჰკითხეთ ამ კუთხის მეისტორიეს და დაუფიქრებლად გეტყვით — რატომ ათასამდე არაო. ეს, რაც თავად უხილავს და თავად მიახლებია, მაგრამ რამდენია მიწის გულში დამალული, ზოგი მტრისგან იავარქმნილი და ზოგიც განსაცდელის და გამოუვალი მდგომარეობისგან თავად ქართველთა ხელით დანგრეული მომხდურს, რომ არ ჩავარდნოდა ხელში.

მისხალ-მისხალ აქვს აღწერილი, აზომილი, გადაღებული, ასეთი დიდი საქმე მარი ბროსესა და წმინდა ღვთისკაცის ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ ვინმეს თუ აუღია თავის თავზე დღევანდელ დღეს, რაც მან და მასავით გულდათუთქულმა თანამოაზრეებმა გააკეთეს.

იმდენად შინაურია იმიერსაქართველოში, რომ ერთი ნანგრევით გრძნობს, ტაძარი იდგა აქ თუ ეკლესია... რაც გადარჩენილია მინარეთმიშენებულია, რაც არა, ეკალბარდებშია გახვეული, აღგვილია პირისაგან მიწისა.

„აქაურ ეკლესია-მონასტრებს ღამით თითქოს სხვა ძალა აქვთ. გიშვებენ და არ გიშვებენ, გემშვიდობებიან და თან გექაჩებიან, გზას გილოცავენ და მოგძახიან კიდეც, გეხუტებიან და თან წადიო, გეუბნებიან, ყურში გეჩურჩულებიან და იმას გაბარებენ, რაც სულ, სულ უნდა გახსოვდეს. ბოლოს თვალს გაყოლებენ...“ — კითხულობ და ცრემლებს ვერ იკავებ, რაღაც სევდის, ბოღმის თუ უკმარისობის გორგალი გაქვს ყელში გაჩრილი, ვერ ამთავრებ ამ ემოციების კითხვას, ავტორთან ერთად დადიხარ იმიერსაქართველოში, მასავით ეფერები წინაპართა დანატოვარს, სხვათაგან მიტაცებულს და ცდილობ, მეტი ფოტო გადაულო, მეტი წერო, რამეთუ... შემდეგ ჩასვლაზე აღარ დაგხვდეს, ჩამოშლილი იყოს, ანდაც ვიღაცის სახლის კედელში იპოვო ჩაშენებული საუკუნეებს გამოვლილი ლოდი ნასაყდრალი.

მიუდგომელ ციხე-სიმაგრეებზეც მოუხილვია ფრიალო კლდეებზე ზვიადად აღმართული, რომლებთანაც საცალფეხო ბილიკი კი არა, მცირედი ხელჩასაჭიდიც არაა, რომ ახვიდე. აქ მხოლოდ სისხლის ყივილი, უკან დახევას მიუჩვევლობა, ჟინი და... თოკი თუ აგიყვანს. **„1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციისას ილია ზდანევიჩმა მოახერხა სიმაგრეზე აძრომა და მცირე, თუმცა ფასეული ინფორმაცია ჩამოიტანა, კავკასიძეების ციხეზე მკვლევართაგან აღარავინ ყოფილაო“,** — წერს ერთ-ერთ ემოციაში ბუბა კუდავა. ბავშვობიდან გამოყოლილმა ჯინიანობამ, არშემდგარი ალპინისტობით გაღიზიანებამ, პირველნახვის წადილმა და უბრალოდ რწმენამ, რომ ღმერთი ჩვენთან არს და რაც ძალიან გინდა, აუცილებლად აგისრულდება, თავისი გაიტანა და ამაღლება დღეს დალაშქრა ბუბამ კავკასიძეების ციხე-სიმაგრე.

* * *

2013 **წელს** 1050 წელი გავიდა ოშკის მშენებლობიდან. ხარება დღეს ეკურთხა ტაძარი და თითქმის ბოლო რამდენიმე წელია, ბუბა კუდავა ხარების დღესასწაულს ოშკის ტაძარში ხვდება თანამედროვე ოშკელთა შორის. ისმენს ძარღვიან ძველქართულს, ანთებს სანთლებს, ჭიქა ღვინით ილოცება, ამ დედატაძრიდან სთხოვს საქართველოს გამთლიანებას ღმერთს და... ეამაყება... ეამაყება, რომ მათი შთამომავალია, ვინც სისხლით იცავდა ამ მიწას, ვინც აქ ლოცულობდა, მოღვაწეობდა და სწამს გამარჯვებისა.

* * *

„აღარ მახსოვს, როდის და რით დავიწყე თხრობა და აგე, ისევ ვაგრძელებ და ვაგრძელებ“, — წერს ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი გულდათუთქული მეციხოვნე ბუბა კუდავა.

მჯერა, ყველას სჯერა და ყველა დაიჯერებს, ვინც ამ „ემოციებს“ წაიკითხავს და გაითავისებს, რომ აუცილებლად გააგრძელებს.

დაბოლოს, წიგნს შესავალში მიძღვნა აქვს ავტორისგან წარწერილი — **„შენ გეძღვნება“**. ეს საოცარი წიგნი შენ გეძღვნება, ვინც ახლად მოევლინე საქართველოს, გეძღვნება შენ, ვისაც ბუბასავით გტკივა იმიერსაქართველო, გეძღვნება შენ, ვინც გულმოკლული მიდიხარ ზეციურ საქართველოში იმის დარდწამღები, რომ ერთხელ მაინც ვერ ეახელი წინაპართა მიწას, ეძღვნება მას, ვინც სისხლით იცავდა ამ მიწას, ეძღვნება ყველა ნასაყდრალსა და ნაციხარს, რომლითაც მიმობნეულია კლარჯეთის მიწა, მეძღვნება მე, შენ, მას — ყველას, ვისაც ცრემლი მოადგება და სისხლი აუჩქროლდება ამ წიგნის წაკითხვისას. **მადლობა, ბუბა ბატონო!**

მამუკა ვაშაკიძე

საქართველოს ეროვნული არქივი 100 წლისაა

წელს საქართველოს ეროვნული არქივის დაარსებიდან 100 წელი შესრულდა.

1920 წლის 23 აპრილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული კანონით დაარსდა პირველი საარქივო დაწესებულება — რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივი.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მომზადდა სპეციალური ლოგო. ამასთან, საქართველოს ეროვნული არქივის ინფორმაციით, საიუბილეო წელთან დაკავშირებით მიმდინარე წელს არაერთი ღონისძიებაა დაგეგმილი.

ეროვნული არქივის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება ეროვნული არქივის მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 24-26 სექტემბერს გაიმართება; ასევე — სტუდენტური სამეცნიერო პროექტი პირველი რესპუბლიკის შესახებ და სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. ამასთან, UNESCO-სთან თანამშრომლობით საფუძველი ჩაეყრება სტუდენტურ საერთაშორისო კონფერენციას, რომლის გამართვაც 4-5 ნოემბერს იგეგმება.

საიუბილეო წელს გაიმართება გამოფენები: „საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები“; „ერეკლე მეორე“; „მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის ვიზიტის 100 წლის იუბილე“; „წმინდა გიორგი“ და სხვა.

ჩაკეტილი ზემო არცევი – მეორე ახალგორი?

„საქართველოს მხარეზე გადმოგვდევენ (საოკუპაციო ძალები) და უკვე ვეღარა ვრისკავთ. შეიძლება არის მომენტი, რომ გადმოიპარო, მაგრამ უკვე ისე გვეშინია, რომ... ბევრი შემთხვევა გვქონდა დაჭერისა. ვეღარა ვრისკავთ, ძალიან გვეშინია. ჯარიმებიც გაზარდეს და ეს ფულიც ჰაერზე ხომ არ მოდის?!“

დიდხანს ფიქრობდა, დალაპარაკებოდა თუ არა ჟურნალისტს. მასში შიში, გაჭირვება და აუტანელი მდგომარეობა ერთმანეთს ებრძოდა — შიში იმისა, რომ გაუგებდნენ ამ საუბარს და დარტყმის ქვეშ დააყენებდა მთელ ოჯახს, ასევე სოფელში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, მაგრამ ბოლო დროს უკიდურესად გართულებულმა მდგომარეობამ გადააწყვეტინა, რომ ელაპარაკა.

მარინა (სახელი შეცვლილია) ოკუპირებულ სოფელ ზემო არცევში ცხოვრობს. ეს არის შერეული სოფელი, სადაც ქართველები და ოსები ერთად ცხოვრობენ. სოფელში ათამდე ქართული ოჯახია დარჩენილი. სოფლის ცენტრშია განთავსებული რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ბაზა.

რუსეთის მესაზღვრეები აკონტროლებენ გზებს და იმ მავთულხლართებს და ღობეებს, რომლებიც ოკუპირებულ არცევში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაამონტაჟეს. ზემო არცევს გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვეში ესაზღვრება. არცევსა და ქვეშს შორის ბაღებსა და ვენახებში შემოვლითი გზები არსებობდა და ამ გზებით გადმოპარვას ადგილობრივები პერიოდულად ახერხებდნენ ხოლმე, თუმცა ადგილზე ვითარება გამკაცრდა და ახლა თითოეული ბუჩქის ძირას რუსეთის ჯარისკაცია. ისინი ქვეშისკენ გადაპარვის მსურველებს ხშირად აკავებენ და ჯარიმის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ.

ბოლო დროს ჯარიმაც 2 000 რუბლიდან (80 ლარი) 20 ათას რუბლამდე (800 ლარი) გაიზარდა. ზემო არცევში დარჩენილი საქართველოს მოქალაქეები მხოლოდ იმ ნათესავების დახმარების იმედზე დარჩნენ, რომლებიც ტელეფონისა და ელექტროენერგიის გადასახადს ურიცხავენ.

მარინა ამბობს, რომ ეს საკმარისი არ არის. სოფელში დარჩენილებს ექიმთან ვიზიტი, მედიკამენტები და პროდუქტები სჭირდებათ; ენატრებათ ნათესავები, რომლებიც მავთულხლართების მეორე მხარეს არიან დარჩენილი. ოსურ ხელისუფლებასაც მიმართეს გზის გახსნის თხოვნით, მაგრამ მათი არავის ესმის, არც საქართველოს ხელისუფლება ლაპარაკობს მათზე. გული სწყდებათ, რომ მხოლოდ ახალგორის პრობლემები შუქდება, მაგრამ ახალგორზე უფრო რთული ვითარება ზემო არცევშია.

„მინდა, რომ როგორც ახალგორის, ზემო არცევის საკითხიც იყოს მოლაპარაკებებში ჩართული. თუ ახალგორის გზა გაიხსნა, მაშინ ზემო არცევის გზაც გაიხსნას. ისინი (ახალგორელები) თუ 4-5 თვე იტანჯებიან, ჩვენ, 11 წელია, ამ მდგომარეობაში ვართ, მარა ხმას ვერ ვიღებდით, იმიტომ რომ გვეშინოდა, ახლა უკანასკნელ დონეზე ვართ, აღარ შეგვიძლია, შვილები გვყავს, შვილიშვილები გვყავს და, ფაქტობრივად ვერა ვხედავთ. ტელეფონის ფულს ზოგს ძმა, ზოგს მშობელი, ზოგს შვილი გვირიცხავს. შუქის გადასახადებსაც ნათესაობა გვირიცხავს. ერთმანეთის ნახვაც ხომ გვინდა, არა? ჩვენ, ცხინვალის რეგიონის სოფელი ზემო არცევი, საერთოდ არა ვჩანვართ ჰორიზონტზე, უკვე 11 წლის განმავლობაში... ახალგაზრდობაც აღარ არის აქ. შვილები, შვილიშვილები იქით (საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე) გვყავს და გვენატრებიან“.

მარინა გვეუბნება, სოფელში ორი მეათეკლასელი მოსწავლეა, მოზარდები ქვეშის სკოლაში გადასვლას შემოვლითი გზებით იშვიათად ახერხებენო. 15 იანვრის შემდეგ ისინი სკოლაში აღარ წასულან, შემოვლით გზებს საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები აკონტროლებენ, მშობლებს კი ბავშვების სკოლაში გაშვების ეშინიათ. გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ტერმაკოზაშვილმა, დაადასტურა ინფორმაცია, რომ არც�ელი მოსწავლეები მეორე სემესტრში ქვეშის სკოლაში აღარ მისულან.

მარინას თქმით, იზოლაციის გამო სოფელში ადამიანები ისე იღუპებიან, რომ ექიმთან წასვლასაც ვერ ახერხებენ: **„ავად რომ გავხდებით, ვერც იქით მივდივართ და ვერც აქეთ და თუ გავიპარეთ და დაგვიჭირეს, იმდენი გვიჯდება, რომ ექიმის ფული აღარ გვყოფნის. ასე ბევრი დაგვეღუპა. ახალგაზრდა გოგო დაგვეღუპა სიმსივნით. თბილისში გაწერეს, მაგრამ ვერ გავიდა. შიშით ვერ გავიდა. დარჩა, დარჩა და დაიღუპა ორი შვილის დედა. ბევრნი დაიღუპნენ ეგეთები, ვინც ვერ გავიდა. ცხინვალიც ძალიან შორს არის. საბუთიანებიც (დე ფაქტო პასპორტის მქონეები) კი ვერ ახერხებენ ხოლმე გადასვლას. ერთ-ერთს გული აწუხებდა და ვერ იმკურნალა, გადადი-გადმოდი და არც საშუალება ჰქონდა და დაიღუპა. გორი კიდევ ერთ ნაბიჯზე გვაქვს. აქვე, ქვეშთან ვართ და ერთი თხრილი გვყოფს. კვირაში ერთი ან ორი დღე მაინც გაგვიხსნან გზა“.**

ოკუპირებული არცევის მოქალაქეებმა ცხინვალის ხელისუფლებასაც მიმართეს და ახალგორისა და ზარდიაანთკარის მსგავსი რეჟიმის ამოქმედებისკენ მოუწოდეს. ახალგორში გამშვები პუნქტია და, დიდი პრობლემების მიუხედავად, ბოლო დროს პენსიონერებს მაინც მისცეს გადაადგილების უფლება. ზარდიაანთკარში კი ერთ-ერთ ღობეზე ჭიშკარია ჩაყენებული, რომელიც იქ მცხოვრები ეთნიკური ოსებისთვის იხსნება ხოლმე და ისინი საშვების მეშვეობით ცხინვალისკენ და უკან გადაადგილებას ახერხებენ, ზემოარცевელებს კი ურჩევენ, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვან და იმ შეღავათებით ისარგებლონ, რაც დე ფაქტო მოქალაქეებისთვის არის გათვალისწინებული. მარინა ამბობს, რომ სოფელში სოციალურად ყველას ერთნაირად უჭირს, მაგრამ „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის ცხინვალის ოფისი მხოლოდ ადგილობრივ ოსებს ეხმარება.

„არ უნდათ, ჩვენთან ლაპარაკიც კი არ უნდათ. შერეული სოფელია და ოსებსაც, ვინც მთავრობაშია, ლაპარაკი არ უნდათ. იმის გაგებაც არ უნდათ, როგორ გვიჭირს. არ გვეხმარება ჩვენი მთავრობა, რომ ცხინვალში წამოგვყვეს და სიტყვა შეგვაწიოს. თვითონ აქვთ საბუთები და თუნდაც ლარსზე წავლენ. საქართველოში მკურნალობენ და ზღვაზე ისვენებენ. და ჩვენ რომ გავაკეთოთ საბუთი, 200 ათასი (რუბლი) ჯდება და არა გვაქვს საშუალება. საქართველოს მოქალაქეები ვართ. ახლა გვეუბნებიან, მოიტანეთ პასპორტი და საქართველოზე წერილობით უარი თქვითო და შეიძლება საბუთი მოგეცეთო. ვაიმე, რა ვქნა? მეცა და აქ ვინც ვართ ქართველები, ვერ ვამბობთ საქართველოზე უარს, როგორცა ვარ, ვიყო ასე. შეიძლება მაგათ უსწორდებათ, ბოდიში ამ სიტყვაზე, რომ უარი გვათქმევინონ საქართველოზე და მათი პრინციპის საკითხი იყოს, მაგრამ ამის სიამოვნებას არ მივანიჭებ“.

ზემო არცევში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები წლიდან წლამდე ბაღბოსტნებში მოწეული მოსავლითა და მათი რეალიზაციით არსებობენ, მაგრამ საკვების გარდა მათ უამრავი რამ სჭირდებათ. მარინას აზრით, აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ და საერთაშორისო საზოგადოებამ ზემო არცევის ჰუმანიტარული კრიზისისა და იზოლაციაში მოქცეული საქართველოს მოქალაქეების შესახებ სასწრაფოდ დაიწყონ გადამჭრელი ზომების ამოქმედება და არცევის საკითხი მოლაპარაკების პროცესშიც ჩართონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ოკუპირებულ სოფელში მალე საქართველოს მოქალაქე საერთოდ აღარ დარჩება.

გოგა აფციაური

„მე გურჯი ვარ, გურჯისტანიდან“!..

როგორ იცნო ავტობუსის მძღოლმა საუკუნეების წინათ დაკარგული მშობლიური ენა

გერმანიაში მცხოვრები ქართველი **ლიკა წიქარიშვილი** სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტით ქალაქ ვუპერტალში შემთხვევით გაცნობილი „გურჯის“ შესახებ გვიყვება — როგორ იცნო ავტობუსის მძღოლმა საუკუნეების წინათ დაკარგული მშობლიური ენა და როგორ უწოდებს დღემდე საკუთარ თავს გურჯს...

„წერა დიდად არ მიყვარს, რადგან ვფიქრობ, რომ წერა ჩემი ძლიერი მხარე ნამდვილად არ არის. უბრალოდ, დღეს ისეთი რამ შემემთხვა, მინდა, რომ თქვენც გაგიზიაროთ და გამიხარდება, თუ წაიკითხავთ.

მოკლედ, ავედი ავტობუსში და თან დედას ვესაუბრებოდი ტელეფონზე. მძღოლის უკან სავარძელზე დავჯექი და გავაგრძელე საუბარი (ვაღიარებ, ცოტა ხმამაღალი საუბარი ვიცი). დავინახე, რომ მძღოლმა რამდენჯერმე დაკვირვებით შემომხედა და შევეცადე, მაქსიმალურად ხმადაბლა მესაუბრა. ვიფიქრე, რომ საუბარმა შეაწუხა.

მოკლედ, ავტობუსიდან ჩასვლისას ისევ ვსაუბრობდი ტელეფონზე (იმდენი სათქმელი გვიგროვდება ხოლმე, რა-

ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს). მაინც ხმამაღლა მკითხა:

— თქვენ გურჯისტანიდან ხართ, ხომ ასეა?

— კი, საქართველოდან ვარ. ვუპასუხე მე.

— თქვენ გურჯი ხართ? საუბარი ვიცანი. ჩვენ მეზობლები ვართ. საქართველოს საზღვართან ახლოს, თურქეთში ჩემს ქალაქში, 5000 გურჯი ცხოვრობს.

— სასიამოვნოა, ანუ თქვენ თურქეთიდან ბრძანდებით?! მივუგე მე.

— არა მე გურჯი ვარ — გუჯისტანიდან, მაგრამ ახლა გურჯისტანის ეს ნაწილი, სამწუხაროდ, თურქეთშია, ოსმალეების პერიოდიდან. მე კი თურქი კი არა, გურჯი ვარ.

მე გავოცდი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა. იმდენად გულიდან იყო მისი სიტყვები წამოსული. მივუბრუნდი და ვუთხარი:

— თქვენ გულიანი გურჯი ხართ! დღეს იშვიათად შევხვედრივარ უცხოეთში ქართველს, ვისაც თქვენსავით გაუხარდებოდა ქართული ენის გაგონება და მით უმეტეს გამოგელაპარაკებოდა, სასიამოვნოა, რომ გაგიცანით-მეთქი და ავტობუსიდან ჩავედი.

მერე კიდევ დიდხანს მედგა თვალწინ გერმანელების გაოცებული სახეები, რომლებსაც საერთოდ ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა და კიდევ იმ კაცის სახე — თურქული შესახედაობის, მაგრამ ნამდვილი გურჯის გული რომ ჰქონდა.

ყოველთვის მეგონა, რომ საუკუნეების წინათ დაკარგულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველები ქართველები აღარ იყვნენ, რადგან მათ აღარც ენა, აღარც სარწმუნოება და მით უმეტეს, აღარც საქართველო გააჩნდათ.

მიხარია, რომ ვცდებოდი!

დღეს, 10-15 წლით რომ წავალთ საზღვარგარეთ საცხოვრებლად, ლამისაა, ეროვნებადაც ის ქვეყანა დავიწეროთ ხოლმე facebook-ზე, ქუჩაში შეხვედრისას ცხვირის აბზუებაზე ხომ აღარც ვლაპარაკობ.

ის გურჯი ვუპერტალში 642 ნომერი ავტობუსის მძღოლია!“

„რეპორტიორი“

ხმებს ამერიკაშიც ვერ ითვლიან



აშშ-ის დემოკრატიული პარტიის კოკუსების (აშშ-ის საპრეზიდენტო კამპანიაში კანდიდატების წარსადგენი კრებების) ორგანიზატორებმა ხმის მიცემის შედეგები ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ დათვალეს.

პრობლემა მობილურ აპლიკაციას შეექმნა, რომელიც ხმებს ითვლის. დემოკრატების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მონაცემებში შეუსაბამობა დაფიქსირდა და ინციდენტი ჰაკერულ შეტევასა და გარე ჩარევასთან არ არის დაკავშირებული. ახლა ორგანიზატორები შედეგების მისაღებად კრების პროტოკოლებს სწავლობენ.

წინასწარ არჩევნებში სულ 11 მონაწილეა. მათგან აიოვაში კამპანიები შვიდმა კანდიდატმა ჩაატარა: ჯო ბაიდენმა, ბერნი სანდერსმა, ელიზაბეთ უორენმა, ემი კლობუშარმა, პიტ ბუტიჯიჯმა, ენდრიუ იანგმა და ტომ სტეიერმა. პარალელურად, რესპუბლიკური პარტიის კოკუსზე დამაჯერებელი გამარჯვება აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოიპოვა. საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში 2020 წლის 3 ნოემბერს გაიმართება.

ერდოღანი უკრაინულად ალაპარაკდა

თურქეთის პრეზიდენტი, უკრაინაში ვიზიტის დროს, სამხედრო ყარაულს სიტყვებით „დიდება უკრაინას“ მიესალმა. რეჯეფ ტაიპ ერდოღანი უკრაინაში ვიზიტის დროს უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის შეხვდება. ერდოღანი მონაწილეობას მიიღებს უკრაინისა და თურქეთის სტრატეგიული საბჭოს სხდომაში.

შეგახსენებთ, რომ მისალმება „დიდება უკრაინას“, ტრადიციული სამხედრო სალმის ნაცვლად პირველად უკრაინის სახალხო რესპუბლიკის პერიოდში მოქმედებდა. 2018 წლის ოქტომბერში უკრაინის რადამ მიიღო კანონი, რომლითაც სამხედროებს და პოლიციელებს სწორედ ამ სიტყვებით ესალმებიან.

ᲛᲐᲛᲐᲖᲔᲪᲘᲔᲠᲘᲡ „ᲓᲐᲛᲬᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲠᲐᲓᲐ“

ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ — ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲢᲧᲔᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲕᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲗᲕᲐᲚᲜᲐᲗᲚᲘᲕ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔᲗ, ᲗᲣ ᲠᲐᲝᲓᲔᲜ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐᲡ.

2019 წლის სექტემბრიდან კი ცეცხლის ალში უკვე ლამის მთელი კონტინენტი — ავსტრალია გაეხვია, სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში სამასზე მეტი კაცი და, სხვადასხვა მონაცემებით, ერთ მილიარდამდე ცხოველი დაიღუპა, ამასთან განადგურდა მცენარეული საფარი 10 მილიონ ჰექტარ ფართობზე, ხოლო ბოლმა სამხრეთ ამერიკის საზღვრებს მიაღწია.

სპეციალისტების აზრით, ავსტრალიაში ცეცხლის გავრცელების მთავარი მიზეზი მშრალი და ძალიან ცხელი ამინდი გახდა. გამოკვლევების შედეგების თანახმად, კონტინენტზე გაჩენილი ხანძრების დაახლოებით 10 პროცენტი ელვის დარტყმის შედეგად ჩნდება, დანარჩენ შემთხვევებში კი ცეცხლი ადამიანების, მათ შორის, აბორიგენების მიზეზით წარმოიშვება. საქმე ისაა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები კენგურუებზე ნადირობის დროს ტყესა და ბუჩქნარს ცეცხლს უკიდებენ, კვამლისგან დაბრმავებული ცხოველები მინდვრებში გარბიან, სადაც მათ მონადირეები უსაფრდებიან... დიდი ხანძრების გამო, ატმოსფეროში ათასობით ტონა ნახშირორჟანგი და მჭვარტლი ხვდება, რომელიც სამხრეთ პოლუსის ყინულებზე ილექება და მათ დნობას აჩქარებს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად აძლიერებს სათბურის ეფექტსა და საყოველთაო დათბობას.

აქვე გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ავსტრალიაში სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით ბრიტანელი ტელეწამყვანის ჯ. კლარკსონის მიერ გაზეთ „სანში“ გამოქვეყნებულ სვეტს მსოფლიოს მრავალ გამოცემაში გამოთქმული აუარება უკმაყოფილო გამოხმაურება მოჰყვა. მის „სისწორესა“ და „ტაქტზე“ თავადვე შეგიძლიათ, დარწმუნდეთ, აი, რას წერს ეს ვაჟბატონი:

„დიდი ხანია, ვეჭვობ, რომ ღმერთს არ სურდა, რომ ადამიანს ავსტრალიაში ეცხოვრა, მან იგი ისე შორს იმიტომ შექმნა, რომ იქ თავისი წარუმატებელი ექსპერიმენტებისთვის ერთგვარი საწყობი მოეწყო. ეს მისთვის „კიბის ქვეშ რაღაც სათავსოსავითაა“, რომელთა გახსენებაც არ უნდა. მაგალითად, ისეთების, როგორიცაა ბიბილოიანი ნიანგი, ანდა წითელზურგა ობობა, რომელსაც უყვარს დამალვა უნიტაზების დასაჯდომების ქვეშ, ანდა ფრინველები, რომლებმაც ფრენა არ იციან და ნისკარტიანი წავი, ანუ იხვნისკარტა. კიდევ ხტუნვა-ხტუნვით „მოსიარულე“ კენგურუ და მუდამ დაბანგული კოალა...

უფალმა ავსტრალია როცა შექმნა, იქ ადამიანი რომ არ ჩასულიყო, მისასვლელთან უზარმაზარი მარჯნის რიფი დაუყენა... მაგრამ, მერე საიდანღაც გამოხდა კაპიტანი კუკი და ახლა უკვე მთელმა მსოფლიომ იცის ამ უაზრო ქვეყნის, მისი სახიფათო და სულელი ბინადრების ამბავი. როგორც ჩანს, ქვეყნის გამგებელი ძალიან შეწუხდა და ამიტომაც „თავის კარადას“ ცეცხლი წაუკიდა...

კაცობრიობამ უნდა აღიაროს, რომ ავსტრალია არაა შექმნილი ადამიანის საცხოვრებლად...“

ამ უზნეო სიტყვებმა, როგორც გითხარით, უამრავი ადამიანი აღაშფოთა, რასაც ჩვენი გაზეთის მკითხველებიც სავსებით იზიარებენ!

ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲩᲚᲣᲜᲒᲗᲐ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ — ᲐᲘ, ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ!

ᲑᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘ. ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲗᲣ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲑᲜᲔᲣᲚ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲡ, ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲘᲚ ᲐᲗᲐᲡᲜᲐᲘᲠ ᲜᲐ�გᲐᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲠᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲐᲜᲭᲕᲠᲔᲢᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

ამის თვალნათელი მაგალითია თუნდაც კოლორადოს უნივერსიტეტისა და მინესოტის ჯანდაცვის სკოლის (აშშ) მეცნიერთა უპრეცედენტოდ ფართომასშტაბიანი — 13-წლიანი გამოკვლევა, რომელშიც ქვეყნის სამ ასეულზე მეტი რაიონის 86 მილიონი კაცი მონაწილეობდა. მკვლევარებმა გამოძიებათა ფედერალური ბიუროს მიერ წარმოდგენილ კრიმინალურ სტატისტიკას გარემოს დაცვის საგენტოს მიერ მიწოდებული ეკოლოგიური მონაცემები შეადარეს. მათ გასაოცარი დასკვნა გამოიტანეს: **უფრო ხშირად ადამიანები დანაშაულს იქ სჩადიოდნენ, სადაც ჰაერში მეტი მტვერი იყო და მისი დაბინძურების კვალდაკვალ იზრდებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევები.**

ასევე გამოიყენეს აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს მონაცემები, ოღონდ ახლა ისინი, ეკოლოგიის მაჩვენებლები სამედიცინოებს — ქვეყნის სადაზღვევო კომპანიებისას შეადარეს. წარმოდგენილი იყო ცნობები 150 მილიონზე მეტი კაცის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ **რაც უფრო მეტადაა დაბინძურებული ჰაერი, მით უფრო მეტია ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი.** დაბინძურებული ჰაერის მქონე ზოგიერთ რაიონში სულიერად დაავადებულთა რიცხოვნობა თითქმის მესამედით აღემატებოდა „სუფთა“ რაიონებში მათ ოდენობას.

კიდევ უფრო მეტად სავალალო მდგომარეობაა ევროპაში, სადაც ეს მაჩვენებელი უკვე 50 პროცენტს შეადგენს.

ამ გარემოებას მკვლევარები ევროპელთა გენეტიკური თავისებურებებით ხსნიან, რომელთა ფსიქიკის მგრძნობელობა დაბინძურებულ გარემოზე ამერიკელებისაზე გაცილებით მაღალია. ამასთან, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ დაბინძურებული ჰაერი მეხსიერებაზეც უარყოფითად მოქმედებს.

ყველა სიკეთესთან ერთად, ირკვევა, რომ **ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობის მომატებასთან ერთად, ქვეითდება კაცობრიობის ინტელექტუალური პოტენციალიც.** ნახშირორჟანგის მავნე ზემოქმედების შედეგად ახალგაზრდები ახალ ცოდნას გაცილებით ცუდად ითვისებენ, რის შედეგადაც ყოველი მომდევნო თაობა წინაზე უფრო ნაკლებად ინტელექტუალურია. მოდელირებამ აჩვენა, რომ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის მატების შედეგად 2100 წლისთვის კაცობრიობის ინტელექტუალური მაჩვენებელი 50-ით შემცირდება(!), საშუალო კოეფიციენტი 50-60 ქულის ფარგლებში იქნება, რაც სრული კატასტროფაა — ეს ხომ გონებასუსტის დონეა!

მკვლევარები გვახსენებენ ახალზელანდიელ ფსიქოლოგს ჯეიმს ფლინს, რომელმაც დაადგინა, რომ ერთი საუკუნის წინ IQ-ს მაჩვენებლები მთელ მსოფლიოში იზრდებოდა. ამ ფენომენს მეცნიერებმა „ფლინის ეფექტი“ უწოდეს. ახალზელანდიელ მკვლევარს მიაჩნდა, რომ ადამიანები უფრო გონიერნი იმიტომ ხდებოდნენ, რომ უკეთესად ცხოვრებას იწყებდნენ, ამდენად მეტი ხალისით სწავლობდნენ. **ამჟამად კი ადამიანებმა დაჩლუნგება იმავე ტემპით დაიწყეს, როგორითაც უწინ ჭკვიანდებოდნენ.** მეცნიერთა მტკიცებით, ბოლო წლებში ყოველი მომდევნო თაობა, საშუალოდ, IQ-ს 7 ქულას კარგავდა.

რამდენად შეესაბამება მეცნიერთა არც თუ სასიხარულო პროგნოზები სინამდვილეს, ამას უკვე მომავალი თაობები გაარკვევენ, მაგრამ ასეთი ცუდი შედეგი ჩვენი შთამომავლობისთვის რომ არ დადგეს, პაპებმა და მამებმა „კეფა დღესვე უნდა მოვიფხანოთ“.

ᲔᲡ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ყველაზე სახიფათო ყოფითი საგნების ნუსხა შეადგინეს. მათ შორისაა:

— **სამზარეულოს ღრუბლები:** ისინი პათოგენურ მიკროორგანიზმთა ბუდეებია. მოხმარების ვადა 7 დღეა.

— **წყლის ფილტრები:** დაბინძურებული კარტრიჯი დაგროვილ მავნე ნივთიერებებს ისევ წყალში აბრუნებს, ამიტომ მათი გამოცვლა 1-1,5 თვეშია საჭირო.

— **სახლის ჩუსტები:** მათი შეცვლა ყოველ 6 თვეშია საჭირო. სოკოვანი ინფექციის, ან სხვა დაავადების გადატანის შემდეგ კი — დაუყოვნებლივ.

— **კბილის ჯაგრისები:** მათი მოხმარების ვადაა 3 თვე, გაციების, ანგინის და სხვა დაავადებების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს.

— **სავარცხელი:** მისი გარეცხვა საჭიროა მადეზინფიცირებლიანი თბილი წყლით კვირაში ერთხელ, მოხმარების ვადა 6-12 თვე.

— **პირსახოცები:** მათი სრული დეზინფექციისთვის საჭიროა მაღალ ტემპერატურაზე გარეცხვა. გამოსაცვლელია ყოველ წელს.

ᲛᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲢᲘᲡ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ

ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ დათბობა კლავს... მამრებს. მართალია, ჯერჯერობით საფრთხე მხოლოდ კუებს ეხებათ — მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ახალშობილთა სქესი კვერცხის ტემპერატურაზეა დამოკიდებული: რაც უფრო მაღალია იგი, მით უფრო მაღალია მდედრის გაჩენის ალბათობა.

თუკი გლობალური დათბობის ამჟამინდელი ტემპები კვლავაც შენარჩუნდება, 2100 წლისთვის მთელ დედამიწაზე შემთხვევათა 99,86 პროცენტში კუს მდედრები დაიბადებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მამრები, პრაქტიკულად, გაქრებიან — ესაა ბრიტანეთის ექსტერის უნივერსიტეტის ზღვის ბიოლოგთა დასკვნა, რომელთა ექსპედიცია ჯავშნიან რეპტილიებს კაბო-ვერდეს კუნძულებზე სწავლობდა.

◎ ლეგიონერი

გოლის გემოც გაიხსენა

გიორგი ჩაკვეტაძემ „გენტის“ 21-წლამდელთა გუნდში იასპარეზა, რაც, ბუნებრივია, კონდიციების აღდგენას ემსახურება. ჩვენებურს „გენკის“ შესაბამისი ასაკის თანატოლებთან მოუწია თამაში და გოლიც გაიტანა.

ჩაკვეტაძემ ბურთი მეტოქის ნახევარზე მიიღო, საჯარიმოში დაუბრკოლებლად შევიდა და ანგარიში გახსნა.

საბოლოოდ „გენკმა“ წონასწორობა აღადგინა და მატჩი ფრედ – 1:1 დასრულდა.

გიორგი შოთაძე

◎ სნუკერი

ტრამპის გერმანია

სეზონში მეოთხე, სულ კარიერაში კი მეთხუთმეტე სარეიტინგო ტურნირი, ამჯერად გერმანიის მასტერზი, მოიგო სნუკერში მსოფლიოს 30 წლის მოქმედმა ჩემპიონმა ჯად ტრამპმა, რითაც სალაროს წიგნაკი 80 ათასი გირვანქა სტერლინგით გაიმდიდრა, ხოლო ფინალში მის ავსტრალიელ მეტოქე ნილ რობერტსონს „მხოლოდ“ 35 ათასი ერგო.

ასე რომ, ინგლისელი ვირტუოზი წამყვან პოზიციას ინარჩუნებს საერთაშორისო რეიტინგში, მწვანე კონტინენტის წარმომადგენელი კი მეორე ადგილამდე აღზევდა.

რაც შეეხება ელიტას, ტიტულების რაოდენობით რჩეულნი არიან: რონი ო'სალივანი, სტივენ ჰენდრი (36-36), ჯონ ჰიგინსი (30), სტივ დევისი (28), მარკ უილიამსი (22), მარკ სელბი, ნილ რობერტსონი (17-17) და ჯად ტრამპი (15).

მანუჩარ გიორგაძე

◎ სუპერბოული

მოთმინებითა შენითა...

„კანზას სიტის“ ქომაგები ნახევარი საუკუნის განმავლობაში ელოდნენ საყვარელი კლუბის ტრიუმფს და, როგორც იქნა, ელირსნენ – მაიამიში გამართული ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგის ფინალში ამ გუნდმა „სან ფრანცისკოს“ სძლია – 31:20 (7:3, 3:7, 0:10, 21:0).

რაც შეეხება სუპერბოულის ყველაზე; სასარგებლო მოთამაშეს (MVP), ასევთად გამარჯვებულთა კვოტერბეკი პატრიკ მაჰოუმსი დასახელდა.

დავძენთ, რომ ოკეანის გაღმა ერთ-ერთი მთავარი სპორტული მოვლენის ისტორიაში სარეკორდო 6-6 ტრიუმფით „პიტსბურგი“ და „ნიუ ინგლენდი“ ლიდერობენ. წლეულს მათი დაწევა კალიფორნიელებს შეეძლოთ, მაგრამ...

გეჟან დოლიძე

◎ წელს ქვემოთ

დოპინგიც, ჰეროინიც...

რაც უფრო ახლოვდება ტოკიოს ოლიმპიადა, რუსეთის დელეგაციას პრობლემები ემატება და ემატება.

თითქოს კორონავირუსის ეპიდემია არ კმაროდეს, იაპონურ პერსპექტივას ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთა სადოპინგო საქმენი საგმირონიც უქმნიან რეალურ საფრთხეს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ქვეყნის სპორტის სამინისტრომ მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციას სახელმწიფო აკრედიტაცია პირველ მარტამდე შეუჩერა, ეს კი 2015 წლიდან „სპორტის დედოფლის“ საერთაშორისო ფედერაციის მიერ ამავე ორგანიზაციისთვის წევრობის დღემდე შეჩერების ლოგიკური გაგრძელებაა, რისი მიზეზიც დოპინგის გამოყენება და სინჯების გაყალბებაა.

არანაკლებ მოიქუფრა ღრუბლები ხალიჩის მიღმა, რასაც იქაურ ფალავანთა თავკაც მიხეილ მამიაშვილის აღიარებაც ადასტურებს: **„თავისუფალ ჭიდაობაში ლონდონის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი 120 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ბილიალ მახოვი მხილებულია დოპინგის გამოყენებაში, რადგან მისმა პირველმა სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა“.**

აღსანიშნავია, რომ ბრალდებას ბოლომდე არც ვეტერანი უარყოფს, თუმცა, საკუთარ ორგანიზმში ზრდის ჰორმონის არსებობას იმით ხსნის, რომ მისი მეუღლე ისეთ მედიკამენტებს იღებს, რომელთა შორისაც დასახელებული სუბსტანციაც ფიგურირებს.

და ბოლოს – ცინცხალი ფაქტი: ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა კრივში რუსთა ოლიმპიურ იმედს, ბურიატთა ავტონომიურ რესპუბლიკაში დაფრთიანებულ ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულე გიორგი ქუშანაშვილს, რომელსაც მას შემდეგ, რაც გვარდიელს ცხვირი გაუტეხა, მოგვიანებით ჰეროინიც უპოვეს!

კოგა კოგახიძე

◎ დაბრუნება

60 წლის შემდეგ



დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც კანადელმა მილიარდერმა ლორენს სტროლმა ფორმულა 1-ის გუნდი „ფორს ინდია“ შეისყიდა და „რეისინგ პოინტი“ დაარქვა, მაგრამ ამას არ დასჯერდა და დღეს ის უკვე „ასტონ მარტინის“ თანამფლობელი გახდა, რომელსაც დიდი პრიზების არენაზე 2021 წლის სეზონში დააბრუნებს, ოღონდ, ამისთვის ახალ გუნდს არ ქმნის - ისევ „რეისინგ პოინტს“ შეუცვლის სახელს.

სტროლმა, ვისი შვილი ლანსიც „რეისინგ პოინტის“ პილოტია, სუპერავტომობილების მწარმოებელი ბრიტანული კომპანიის აქციების 16.7 პროცენტი გამოისყიდა, რაც 240 მილიონი დოლარი დაუჯდა. ამგვარად, „ასტონ მარტინი“ ფ1-ს დაახლოებით 60-წლიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება. მის გუნდს სულ რაღაც ხუთ რბოლაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რომელთაგან საუკეთესო შედეგს - მე-6 ადგილს, ბრიტანეთის 1959 წლის დიდ პრიზზე მიაღწია.

ამგვარად, წერტილი დაესვა სპეკულაციას იმის თაობაზე, რომ „რეისინგ პოინტის“ ყიდვას რუსი მილიარდერი დმიტრი მაზეპინი აპირებდა. სხვათა შორის, მისი სურვილიც ფ1-ში შვილის გადაყვანაა. სხვა ვერსიით, გუნდის შესყიდვა ჩინურ საავტომობილო კომპანია „ჯილის“ სურდა.

სტროლის მიერ „ასტონ მარტინის“ წილის შესყიდვის პარალელურად, „რედ ბულმა“ გამოაცხადა, რომ 2020 წლის სეზონის დასრულების შემდეგ ბრიტანული კომპანია მისი სპონსორი აღარ იქნება, თუმცა, ისინი პარტნიორობას ავტომობილ „ვალკირისთან“ დაკავშირებით გააგრძელებენ.

„რეისინგ პოინტი“ 2020 წლის სეზონისთვის მომზადებულ სარბოლო ბოლიდს 17 თებერვალს გაგვაცნობს, წინასასეზონო ტესტებს კი ორი დღის შემდეგ შეუდგება.

ვიტალი ჯაფარიძე

9 დუელის ისტორია საქართველოში

ნიკოლოზ ლორთქიფანიძე და ოფიცერი აკიმოვი

ნიკო ლორთქიფანიძე საზღვარგარეთ სწავლობდა. რუსმა ოფიცერმა ქართველები აგდებულად მოიხსენია, რის გამოც დუელში გამოწვევა მიიღო. როდესაც უნდა ესროლათ, სეკუნდანტებმა ნიკო გააფრთხილეს, გვერდულად დამდგარიყო. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ოფიცერი იარაღს კარგად ხმარობდა, ნიკომ მეტოქეს მაინც მკერდი მიუშვირა. ამ ჟესტმა აკიმოვზე ისე იმოქმედა, რომ განზრახ ააცილა. ამის შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძემ საერთოდ ჰაერში ისროლა.

„ბოდიშს ვიხდი, თქვენ სხვა ხალხი ყოფილხართო, თქვა აკიმოვმა და საპასუხოდ თავადაც ჰაერში დაცალა იარაღი "...

დავით კლდიაშვილი და პალმი

პალმი გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქტორი იყო. გაზეთმა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის პროცესი მასხრად აიგდო, რამაც დავით კლდიაშვილი მოთმინებიდან გამოიყვანა. მწერალი თავის მოგონებებში იხსენებს:

„ძლივს გავათავე წაკითხვა, მივვარდი გადამწერთა ოთახში ტელეფონს.

— ცენტრალური... „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქცია... რედაქტორი პალმი... პალმი ხართ?! რა სინდისმა მოგცათ ნება ისეთი უგვანო წერილი მოგეთავსებინათ გაზეთში, როგორიც არის დღეს გაბრიელ ეპისკოპოზის გასვენების შესახებ?! თქვენ არ იშლით კლოუნობას და გირჩევნიათ, დაუბრუნდეთ ჯამბაზობას, როგორც იყავით აქამდისინ! თქვენისთანა გათახსირებულ, ყოვლად გაფუჭებულ კაცს რა ხელი აქვს რედაქტორობასთან... თქვე სინდისგარეცხილო!"

კლდიაშვილმა პალმი დუელში გამოიწვია. გაზეთის რედაქტორი ძალიან შეშინდა და არათუ საბრძოლველად არ წასულა, დააბეზღა კიდეც კლდიაშვილი. დუელები კანონით აკრძალული იყო და მწერალი გადასახლების საშიშროების წინაშე დადგა.

„მაგრამ დავით კლდიაშვილი ძალიან უყვარდა ყველას. ძალიან კეთილშობილი იყო და ყველა გვერდში დაუდგა", — ამბობს როსტომ ჩხეიძე.

ასე დამთავრდა კლდიაშვილი-პალმის არშემდგარი დუელი. ისიც უნდა ითქვას, რომ უფრო ადრე პალმსა და ილია ჭავჭავაძესაც ჰქონდათ კონფლიქტი, მაგრამ როდესაც ილიამ თავისი კოლექციიდან იარაღის შერჩევა და სროლა შესთავაზა, პალმმა აქაც უკან დაიხია.

სერგეი ესენინი და რაულ გოგოხია

საქართველოში ყოფნის დროს ესენინმა პოეტი რაულ გოგოხია გაიცნო, რომლითაც ძალიან მოიხიბლა და ლექსების თარგმნას შეჰპირდა. მოგვიანებით ტიციანს ჰკითხა მის შესახებ. **„ტიციანმა უთხრა, რაულ გოგოხია პოეტი საერთოდ არ არის, სპეკულიანტიაო",** — ამბობს როსტომ ჩხეიძე.

საბოლოოდ, ესენინმა გოგოხია დუელში გამოიწვია. მაგრამ გოგოხიას სეკუნდანტმა რომ უთხრა, ეგ ისე ისვრის, გაფრენილ ჩიტს კლავსო, ძალიან შეეშინდა (ამ დროს გოგოხიამ სროლა არც იცოდა) და მეზობელ ჩეკისტთან გამოსამშვიდობებლად შევიდა.

საქმე იმით დამთავრდა, რომ ჩეკისტი გოგოხიას სეკუნდანტების დასაპატიმრებლად გამოენთო და, შესაბამისად, დუელიც არ შედგა.

დადიანი და ღუზ-ხოტიმირსკი

ანდრია დადიანი მოჭადრაკე იყო. ერთხელ მან და ჭადრაკის ოსტატმა ფიოდორ ღუზ-ხოტიმირსკიმ მეგობრული პარტია ითამაშეს, რის შემდეგ ხოტიმირსკიმ ჭადრაკის პარტიის ჩანაწერი დადიანის უკითხავად გამოაქვეყნა. ანდრიამ ის დუელში გამოიწვია. დამფრთხალმა ღუზ-ხოტიმირსკიმ კოლეგას წერილი მისწერა და ბოდიში მოუხადა.

კონსტანტინე გამსახურდია და იოსებ მჭედლიშვილი

1939 წელს „დიდოსტატის მარჯვენა" გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჟურნალში „ჩვენი თაობა", რომლის ტექნიკური რედაქტორიც იყო მწერალი იოსებ მჭედლიშვილი.

როსტომ ჩხეიძე: **„იოსებ მჭედლიშვილი უსამართლოდ არის დავიწყებული — მწერალი, დრამატურგი და ვაჟკაცი კაცი იყო. 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლების შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიამ, სანდრო აბაშელმა, პავლე ინგოროყვამ და ვახტანგ კოტეტიშვილმა გლოვის ნიშნად შავი ჩოხები რომ ჩაიცვეს... მანამდე ეს იოსებ მჭედლიშვილმა ქნა".**

როდესაც „დიდოსტატის მარჯვენა" იბეჭდებოდა, იოსებ მჭედლიშვილმა ტექსტი გაასწორა: რა არის, ქართული არ იცის კონსტანტინემო. ეს ამბავი ავტორს მიუტანეს.

როსტომ ჩხეიძე: **„მეორე დღეს მწერალთა სასახლეში ორივე შეიარაღებული მოვიდა. ნიკა აგიაშვილი მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარესთან ირაკლი აბაშიძესთან ავარდა: ჩაერიეთ, ერთმანეთი არ დახოცონო. აბაშიძემ, მაგათი ფაფხური ოცი წელიწადია, მესმის, მაგრამ დაჭრილი კაცი არ მინახავსო. მართლაც, გადაიხედეს ფანჯრიდან და სხვდან ორივენი ბაღში და საუბრობენ".**

როგორც როსტომ ჩხეიძე ამბობს, სწორედ კონსტანტინე გამსახურდიას „დუელით" დამთავრდა ნიკოლოზ ბარათაშვილით დაწყებული დუელების სერია საქართველოში.

თეა თოფურია

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 4

სანთელი

რეზო ამაშუკელი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ულამაზესი და გამორჩეული ქალბატონი

ლალი ბადურაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ახლობლებსა და მეგობრებს.

სპარტაკ ქობულია ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კეთილშობილი, ჭკვიანი, ლამაზი და კოლორიტული ქალბატონი, საუკეთესო დედა, ბებია და მეგობარი

ესმა იოსების ასული ნიკოლაიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

◎ პროგლემა

დღემდე მოუგვარებელია!..

„თითოეული ადამიანის ჯანმრთელობა, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ზიანდება, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა"

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გუშინ გვიან ღამით „თბილისის ზღვის ახალი ქალაქის" ე.წ. „ჰუალინგის" მიმდებარედ. როგორც „კომერსანტს" საგანგებო ვითარებათა მართვის სამსახურში განუცხადეს, ავარიის შედეგად სამი ადამიანი მრავლობითი მოტეხილობით კლინიკაში გადაიყვანეს. ერთმანეთს „ოპელის" და „ფორდის" მარკის ავტომობილები დაეჯახნენ.

„კომერსანტი" აღნიშნულ საგზაო მონაკვეთზე არსებული პრობლემის შესახებ უკვე წერდა. ე.წ. „ჰუალინგის" გზაზე დღემდე არანაირი საგზაო ინფრასტრუქტურა არ არის მოწყობილი, შედეგად ეს გზა არაერთი უბედური შემთხვევის მიზეზი გახდა.

მედიაჰოლდინგმა გასულ წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია — 2015 წლიდან 2019 წლის ივლისამდე, რამდენი სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა ე.წ. „ჰუალინგის" გზაზე. ამ პერიოდში აქ სულ 62 ავტოსაგზაო შემთხვევაა დადასტურებული, დაღუპულია 3 და დაშავებულია 99 ადამიანი.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში „კომერსანტს" განუცხადეს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას უახლოეს მომავალში გეგმავენ.

„შუქნიშანი 2019 წლის დეკემბრის ბოლოს განვათავსეთ ვაზისუბნის მე-2, მე-3 მიკრორაიონებს შორის, ამავე დროს ვაზისუბნის მხარეს, ცხენების ძეგლთან, გზაჯვარედინზე მერია შუქნიშნის განთავსებას აპირებს, ხოლო სასტუმრო „ჰუალინგის" მიმდებარდ შუქნიშანს თვითონ „ჰუალინგ ჯგუფი" განათავსებს", — განმარტავენ მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში.

აღსანიშნავია, რომ მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიცია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გასულ წელთან შედარებით ძირფესვიანად შეიცვალა. მაშინ უწყებაში აცხადებდნენ, რომ ინფრასტრუქტურის მოწყობა „ჰუალინგ ჯგუფის" მოვალეობა იყო, დღეს კი „კომერსანტს" განუცხადეს, რომ მოვალეობებზე ვერაფერს იტყვიან.

„ეს არის „ჰუალინგის" ტერიტორია, მათი მოვალეობაა, ინფრასტრუქტურულად, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით მოაწყონ ეს საგზაო მონაკვეთი. თუმცა, სატრანსპორტო სქემა დედაქალაქის მთავრობასთან თანხმდება. მერიასთან არის შეთანხმებული ის, რომ 4 შუქნიშნის ობიექტი უნდა განთავსდეს, ახლა ველოდებით, როდის დაიწყებს კომპანია ამ ინფრასტრუქტურის მოწყობას", — აცხადებდნენ 2019 წელს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში.

მაშინ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე პასუხისმგებლობას იხსნიდნენ როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე კერძო სექტორიც. მათი პოზიციები 5 თვის წინათ შემდეგი იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო:

„სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრი მზაობას გამოთქვამს, უზრუნველყოს ვიდეო- სამეთვალყურეო სისტემის მოწყობა ოპტიკური ქსელის მოწყობის შემდგომ. რაც შეეხება შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას (მაგ. შუქნიშნის დადგმა,) აღნიშნული საკითხი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაა",

„ჰუალინგ ჯგუფი":

„როგორც მოგეხსენებათ, ამ ადგილას ადრე გზა არ იყო, „ჰუალინგ ჯგუფმა" თავისსავე გაყვანილი გზა (2.2 კმ.) დათმო საზოგადოებრივი სარგებლობისთვის და საკუთარი ხარჯებით მოაწესრიგა საგზაო ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება საგზაო მოძრაობის მოწესრიგებას, ეს თვითმმართველობის მოვალეობაა".

„HUB Georgia"-ს აღმასრულებელი დირექტორი ვასო ურუშაძე აცხადებს, რომ საგზაო უსაფრთხოების საკითხისადმი როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება, ასევე თბილისის მერია და ადგილობრივი თვითმმართველი ქალაქები უპასუხისმგებლოდ იქცევიან. მისი თქმით, ტრანსპორტის დარგში, განსაკუთრებით უსაფრთხოების მხრივ ქვეყანას აქვს ზედაპირული, არათანმიმდევრული პოლიტიკა. ვასო ურუშაძის განმარტებით, ამის სამწუხარო შედეგია ის, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შედეგად, ყოველწლიურად 600-მდე ადამიანი იღუპება, ათასობით ადამიანი კი ფიზიკურად ზიანდება.

„ჩვენ არ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის უსაფრთხო უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. ეს ვლინდება ქვეყნის მასშტაბით არაერთ საგზაო მონაკვეთზე, მათ შორის, ერთ-ერთი სწორედ ჰუალინგის მიმდებარედ. ყველამ კარგად იცის, რომ ბოლო რამდენიმე წელია, ეს ადგილი ქუჩის რბოლების ერთ-ერთ მიზიდულობის ცენტრადაა გადაქცეული და მომეტებული საფრთხის მქონე საავტომობილო გზაა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ შემოწმებას და ზედამხედველობას საჭიროებს", — აცხადებს ურუშაძე.

ბაჩო ადამია

◎ მაძიებელი ხელოვნის ლექსი

დრო ითხოვს სხვა სიმფონიას!

ქვეყანა ყირაზეა და ლექსიც თავაღმა – ბოლოდან იკითხება

ქუთაისის საპატიო მოქალაქემ **თემურ ძიძიგურმა** და ჩოხოსანმა პოეტმა **ირმა ქურასბედიანმა**, რომლებიც უკვე ორი წელიწადზე მეტია, ცნობილ, ამასთან ძალზე საყურადღებო სახელოვნებო სალონს „ქუთაისურ საღამოებს“ ხელმძღვანელობენ, პედაგოგისა და გამოყენებითი ხელოვნების საგულისყურო წარმომადგენლის **ფატი დვალიშვილის** ის ლექსი გამაცნეს, რომელმაც შემახსენა ჩემი სიყრმის მეგობრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის **ვახტანგ ჯავახაძის** სალექსო ფორმათა ჭაბუკობისდროინდელი ძიება, თანაც თავაღმა იკითხება. ჩემის მხრივ, მკითხველთა ფართო აუდიტორიის მიერ მსჯავრის გამოსატანად მე ეს ლექსი მოკრძალებული პატივისცემით გადავეცი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თავკაცებს.

ალ.შენგელია,
ქ. ქუთაისი

რომ შევქმნათ სხვა სიმფონია!
დრო, წინ დრო, ისევ გვქონია,
თუ ვინმე მალე პირს მოჰბანს
ნოეს გადამრჩენ კიდობანს
გათითოკაცებულები!..
მაგრამ ამაყი ბუნებით
ეშმას არ ნაზიარები,
სულის არ დაზიანებით,
საოცრად ბევრი ვყოფილვართ,
არადა, ბევრი ვყოფილვართ,
ახალთან ჯიბრში ყოფილმა...
რომ ტანჯვა არ გვამყოფინა
თუ მავანისთვის ჰობია,
და ვამბობ, რომ არ სჯობია,
არც ვპლატონობ, არც
ვსოკრატობ,
სულაც არ ვარისტოკრატობ,
და უცხოური მონეტით!
დისონანსების სონეტით
ამ უახლესმა „არიამ“,
ქვეყანა სულ მთლად არია.
ვდარდობთ კორონავირუსზე,
ჯანსაღის სიტყვას ვინ უსმენს?
და ატა-ტატა-ატატით!
ყოფნა-არყოფნის კანტატით
სატანის მოციქულებმა,
და მოგვიწამლეს გუნება
მრისხანე ბაყბაყნეხვებმა,
რაც რომ აკრძალეს შეხება,
რომლებსაც ვეღარ შევებით,
რადგან დამკვიდრდნენ დევები,
წყალი ძვირია ჩაროზზე,
და უკვდავების წყაროზე
გრაალს არ შერჩა დამცველი.
ცოდვა გვრღნის მძიმე და მწველი,
და ყურს ჭრის დისჰარმონია.
დრომ დრო მოჭამა, მგონია.

ფატი დვალიშვილი

ნობელიანტის შეფასებით

ნობელის **პრემიის ლაურეატის, ბელარუსი მწერლის სვეტლანა ალექსიევიჩის თქმით, „პუტინი და ლუკაშენკო საკუთარი იდეების მძევლები არიან“. ნობელიანტი მწერალი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდები ახლა უფრო „გლობალურად აზროვნებენ და მომავალი მათ ეკუთვნით“.**

„მე მეჩვენება, რომ პუტინი და ლუკაშენკო უკვე საკუთარი იდეების მძევლები არიან. დიქტატორული რეჟიმები სასტიკად ექცევიან თავად დიქტატორებსაც. მათ ადამიანური ცხოვრება აღარ აქვთ“, — ამბობს ალექსიევიჩი.

მისივე თქმით, ერთადერთი, რაზეც პუტინი და ლუკაშენკო ნანობენ, მონარქიის არარსებობაა, რომ ხელისუფლება მემკვიდრეობით გადასცენ.

ნობელიანტი მწერალი მიიჩნევს, რომ ახალი თაობა განსხვავებულად აზროვნებს და მომავალი მათ ეკუთვნით.

„ცოტა ხნის წინათ ვიყავი ლონდონში, სადაც ახალგაზრდა ეკოაქტივისტებს შევხვდი. ერთ-ერთი მათგანი პინგვინებს იცავს. ეს ადამიანები დედამიწაზე აღარ ცხოვრობენ, ისინი კოსმოსში არიან. ის, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, მათ არ ანაღვლებთ. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია გლობალური სამყარო და გლობალური პრობლემები. თაობა, რომელიც „ჰარი პოტერით“ გაიზარდა, სხვაგვარად აღიქვამს სიკეთისა და ბოროტების საკითხებს. მომავალი შვედი ეკოაქტივისტ გრეტა ტუნბერგის თაობას და მათ იდეებს ეკუთვნის“, — განაცხადა სვეტლანა ალექსიევიჩმა.

ამერიკის სცენარისტების გილდიის საუკეთესო პროექტები

ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკში ამერიკის სცენარისტების გილდიის (WGA) დაჯილდოების 72-ე ცერემონია გაიმართა.

გამარჯვებულად კატეგორიაში „საუკეთესო ორიგინალური სცენარი“ კორეელი რეჟისორის პონ ჯუ-ჰოს დრამა „პარაზიტები“ დასახელდა. ტაიკა ვაიტიტის სატირა „ბაჭია ჯოჯო“ კი „საუკეთესო ადაპტირებული სცენარისთვის“ დააჯილდოვეს.

საუკეთესო ტელეპროექტებს შორის მოხვდნენ: „მემკვიდრეები“, „ბარი“, „ჩერნობილი“.

ამერიკის სცენარისტების გილდია მკაცრი წესებით გამოირჩევა: წესდების თანახმად ამ ჯილდოსთვის ბრძოლა მხოლოდ WGA-ს იურისდიქციით კანადაში, ირლანდიაში, ახალ ზელანდიასა და დიდ ბრიტანეთში კოლექტიური შრომითი შეთანხმების საფუძველზე წარმოებულ პროექტებს შეუძლიათ.

ინციდენტის დროს 13 მოსწავლე დაიღუპა

კენიაში, დედაქალაქ ნაირობის სკოლაში 13 მოსწავლე დაიღუპა. შენობაში პანიკა ჯერჯერობით დაუდგენელმა მიზეზმა გამოიწვია, რის შემდეგაც მოსწავლეებმა გაქცევა სცადეს და სწორედ ამას მოჰყვა მსხვერპლი.

პოლიციამ დაადასტურა, რომ დედაქალაქ ნაირობის ჩრდილო-დასავლეთით 13 მოსწავლე დაიღუპა და 40 დაშავდა. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ნაწილი კი მკურნალობის შემდეგ უკვე გაწერეს.

პანიკის გამომწვევი მიზეზის დასადგენად გამოძიება მიმდინარეობს. ზოგიერთი ცნობით, შემთხვევა კიბეების ჩანგრევას მოჰყვა.

საიდუმლო სამარხში 11 ცხედარი იპოვეს

მექსიკის ხელისუფლების ინფორმაციით, შტატ მიჩოაკანში საიდუმლო სამარხში 11 ადამიანის ცხედარი იპოვეს. სამარხი მუშების ჯგუფმა იპოვა, რომელიც მიწისქვეშა სამუშაოებს აწარმოებადა და ინფორმაცია სამართალდამცველებს მიაწოდა. მომხდარზე გამოძიება დაიწყო.

გამოცემის ცნობით, საიდუმლო სამარხი პოლიციელებზე თავდასხმიდან ორი დღის შემდეგ იპოვეს. პოლიციელები სამი პირის დაკავების სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ, რომელმაც 2019 წლის აგვისტოში მასობრივი მკვლელობები ჩაიდინა. ისინი დანაშაულებრივი კარტელის „ლოს ვიაგრას“ წევრები იყვნენ. კარტელი შტატ მიჩოაკანში პირველობისთვის სხვა დანაშაულებრივ ჯგუფებთან ერთად იბრძვის.

პოლიცია ეჭვობს, რომ სამარხი სწორედ ამ დაპირისპირების შედეგად გაჩნდა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიძოგბავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8834; ევრო - 3.1911;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7677;
100 რუბლი - 4.5155; თურქული ლირა - 0.4819;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6975;
1000 სომხური დრამი - 6.0228.

ამინდი 5 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+9
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge